

# რეაქტორი

საქართველოს  
კომუნისტური  
პარტია



საბჭოთა კავშირის  
მე-XXI-წელი  
**დაწიგბეანი**  
**12**  
ს. ს. რ. ა.  
უზენაესი საბჭოს  
ქარკვები  
დღე

**ყველა სსრ კავშირის  
უზენაეს საბჭოს ქარკვები**



ბავშვობით სსრ კავშირის უზენაეს  
საბჭოში მშენებ-სამშენებელი ვინაა  
საბჭოთაობის მშენებელი ვინაა  
მოდელი - ჩვენი კვაყენი  
საბჭოთაობის უზენაესი

ნიანგი თავის დროზე შეუდგა უზენაეს საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას.

— ვინ ავირჩიოთ უზენაეს საბჭოში? ვის მივსცეთ ჩვენი მოქალაქური ხმა, — აი საკითხი, რომელიც დაისვა ნიანგელთა კოლექტივის წინაშე.

— მაგ საკითხზე ჩვენთვის ორი აზრი არ უნდა იყოს. — განაცხადა ნიანგმა: — ყველამ იცის ჩვენი ხმა ვისაც ეკუთვნის. მიუხედავად ამისა...

— შეიძლება?... ნება მოგვცეთ შემოვიდეთ! — გაისმა ამ დროს შემოსავალ კარებთან რამდენიმე უცხო მოდგმის ადამიანების ხმა.

— ვინა ხარ? რა საქმე გაქვთ! — შეეკითხა ნიანგის მდივან-ბეგი.

— შემოგვიშვით და გეტყვი.

— არ შეიძლება! თათბირია.

— სწორედ მაგიტომ ვართ მოსული. გავიგეთ, რომ საარჩევნო მზადებას შესდგომიხართ და ჩვენც იმიტომ მოვედით...

— საეჭვო ხალხია!

— რა ცუდი სენი შემოდის!..

ჩაილაპარაკეს ნიანგელთა საკრებულო დარბაზში მყოფმა ზოგიერთმა ამხანაგებმა.

— პირიქით, სუნზე ეტყობათ, რომ საჩვენო საკბილოები! — გაუსწორეს სხვებმა.

— ნუ აწყვეტინებთ! თქვით რატომ მოხვედით! — ბრძანა ნიანგმა.

— ყველგან გარიყულნი ვართ და თქვენ მაინც მოგვისმინეთ. თქვენ მაინც მიგვალბოეთ მონაწილეობა არჩევნების მოსამზადებელ თათბირში.

— ვინა ხართ თქვენ?

— შემოგვიშვით და ყველანი გეტყვი.

— ერთად რატომ მოსულხართ?

— იმიტომ რომ ყველა ჩვენგანი ერთ ტაფაში ვისრავებით: ყველანი გარიყულნი ვართ ხალხისაგან.

— შემოუშვით სათითაოდ, თქვენ მათი გულის ნაღები! — ბრძანა ნიანგმა.

— ვინ ხარ და რა გინდა? — შეეკითხა ნიანგი პირველად შემოსულს.

— ხუნხუზა მენშევიკი უნდა იყოს! — ჩაილაპარაკეს დასწრეებმა.

— ახლა უკვე აღარაფერი აღარა ვარ... ერთ დროს კი ყველაფერი ვიყავი: სოფელში ორი წისქვილი მქონდა მოჯამავირეს ექვს მანეთს ვაძლევდი თვეში. ჩვენს დაბაში ისეთი სამიჯნო მქონდა რომ ჩემი დეხლი მუდამ დოვლათით იყო გაბრიგნილი. ნიკოლოზი რომ ჩამოგდეს მენშევიკურ პარტიაში ჩავეწერე... მოგვეცოთ ხმა, ჩვენისთანა ხალხის დამცველი პარტია მენშევიკების მგავსი მთელ დუნიაზე არ იქნება.

ქურნ. „ნიანგის“ რედაქცია და თანამშრომელთა კოლექტივი მხურვალე საღამო უძღვნიხ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის და თბილისის საბჭოს ორგანოს გაზ. „მუშას“ მისი არსებობის 15 წლის შესრულების გამო.

— კვალი აგრევი! — თქვა ნიანგმა და არამკითხე სტუმრის მახლობლად მდგომ ნიანგელებს მიმართა:

— საიდანაც მოსულა იქითკენ გადუძახეთ! ამის გაგონებისთანავე სტაცეს ხელი მოსულს და ნიანგის უფსკერო გოდორში გადაუძახეს.

— ეგ ერთი და სხვა მრავალი! — წარმოსთქვა ვილაცამ გემრიელ საკბილოს ხელში ჩავდებით.

— ვინ არის შემდეგი?

კარი გაიღო და დარბაზში ვილაც ახმახი ქალარამორეული მოქალაქე შემოვიდა.

— ვინ ხარ და რა გინდა? — შეეკითხა ნიანგი.

— ის ვარ, რაც აქამდე არ ვყოფილვარ, და ის მინდა ვიყო, რაც აქამდე ვიყავი.

— ვიცით ვინ არის! ჩვენი საკბილოა.. სიძველისაგან ცოტა მომყავოა, მაგრამ გამოდგება. — გაისმა ხმა.

— ჩემი წინაპრები დიდი აზნაურნი და თავადების მონათესავენი იყვნენ ჩვენს სამშობლოს მათზე ძვირფასი და გმირული დამცველი არ ყოლია; რაც მამულები ქონდათ სულ ქვიფში და კარტის თამაშში „გაიმასქეს“, ნამდვილი რაინდები იყვნენ. ჩვენ მათ მიერ დაკარგულ მამულის კირისუფლები ვიყავით და ვართ. ჩვენი პარტია სოციალისტ-ფედერალისტების პარტიად იწოდებოდა. არ ჩვენების დროს საქართველოში ბევრს თუ არა, ორნახეიარ ხმას მაინც ვღებულობდით. მე მათი ნარჩენების წარმომადგენელი ვარ. მამულის გემო ჩვენზე უკეთ არავინ იცის...

— ვინც მამულს ჰამდა, ცხალია, გემოც ეცოდინება — ჩაუნისკარტა ერთერთმა ნიანგელთაგანმა.

— გემო კი გეცოდინება, მაგრამ ფასი თუ იცოდი?! — შეეკითხა ირონიულად მეორე ნიანგელი.

— ვიცოდი და სწორედ იმიტომ ვიყავით და ვართ წინააღმდეგი ვლენებზე მისი უფასოდ გადაცემის! მოგვეცით ხმა! მხარი დავვიჭირეთ!

— კვალი აგრევი! — თქვა ნიანგმა და კვლავ დაუმატა:

— საიდანაც მოსულა, იქითკენ გადაუძახეთ!

მაგრამ დამსწრეებმა ნიანგს არც კი აცალეს ბრძანების დამთავრება: სტაცეს ხელი და ისიც გოდორში გადაუძახეს.

— ვინ არის შემდეგი?

კარებში ორი იერგაცვეთილი პიროვნება შემოვიდა და ორივემ ერთად დაიძახეს:

— ეროვნული დემოკრატი!..

— ესერი!

— გიცნობთ, გიცნობთ! — დაიძახეს დამსწრეებმა და ისინიც უფსკერო გოდორში დავაბრუნეთ.

— ვინ არიან დანარჩენები? რა გინდათ თქვენ? — შეეკითხა ნიანგი კარებში გამოჩენილ უცხო პირებს.

ნიანგის და მისი ლაშქრის შეხედვანზე მათ ფერი ეცვალათ და შიშით ენა დაებათ, აშკარათ ეტყობოდათ, რომ ყველა ისინი ხალხის ფარული მტრები და მკენებლები იყვნენ.

— გვითხარით თქვენი მოსვლის მიზანი. გავაცანით თქვენი პროგრამა. — თქვა ნიანგმა.

ისინი სდუმდნენ.

— ვიცნობ თქვენს მოდგმას. თქვენსას მალავთ მაგრამ ჩვენ გავაცნობთ ჩვენს საკუთარ პროგრამას. დამუქრებით თქვა ნიანგმა და ნიანგელებს ნიშანი მოგვცა. წამსვე აიშალნენ დაბასრულ ჩანგლების ტყეები ქვეყნის მტერთა შესამუსრავად.


— ამით გავუსწორდით. — თქვა თათბირის დამთავრებისას, მაგრამ ჯერ კიდევ უნდა ვიბრძოლოთ მათი ფესვის ამოსაგდებათ. ეს ჩვენი სამოქმედო პროგრამაა, მაგრამ დღეს ჩვენი ვალია, ყველანი, როგორც ერთი კაცი, საარჩევნო უბნისაკენ გავეშუროთ და ხმა მივსცეთ ხალხის კანდიდატებს.

# მუსიკალური ისტორია


ანუ ლეგენდა იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვა ჯაზ-ოკამბრი

ტექსტი გიასი.


ნახ. ლებენცისა  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



1. ერთ დღეს, ტფილისში, ერთერთ სასადილოში ოთხი მხიარული მოქალაქე შევიდა სასადილოდ. დაიწყეს ცდა.




2. ნახევარი საათის ცდის შემდეგ ერთმა მათგანმა კოვბი ააწყარუნა გრაფინის თავზე, მიმტანის გამოძახების მიზნით.




3. ერთი საათის ცდის შემდეგ სხვამ უფრო წინ წავიდა.



4. და რაკი მიმტანი მაინც არ სჩანდა ჩანგალ-იფუნ-გრაფინ-მუსიკა უფროსად გაძლიერდა.



5. ასე წარმოიშვაჯაზ-ოკამბრი, შემდგარი სხვა დაბეკრებისა და ერთი მშვენიერებისგან.



6. დაბოლოს სასადილომ გამგებაც ვეღარ მოითმინა და კაზინო ჰომობლად მუსიკაზე ბაღდაღური წამოუდგარა.



# ქიშკიბუქა & ვასკაბუქა



## კატეგორიის ბაზარი

— ვასტაბუქა, მოდი ბიჭო, რეჟისორობა დავიწყეთ! — უთხრა ამასწინათ შიშტიბუქამ ვასტაბუქას.

— მერე როგორ იქნება ეგ, კაცო? — ჰკითხა ვასტაბუქამ.

— უბრალოდ, ამ საქმეს ჩემო ვასტაბუქა, არც ღიბლომი უნდა და არც მოწმობა.

— ცოდნა?

— შე კაცო, ექვს წელიწადს კრიტიკოსებად გავიტანეთ თავი და რეჟისორობას რა უნდა?

და ამ შეთანხმების შემდეგ რაიონის კლუბის გზას გაუდგნენ ჩვენი შიშტიბუქა და ვასტაბუქა.

\* \*

და ერთ-ერთ რაიონულ კლუბს მიადგნენ ჩვენი ბიჭები.

კლუბში შესვლის უმაღლეს კარებთან ასეთ აფიშას მოჰკრეს თვალი.

დღეს ჩვენ ვაუბრები (უსიკ-  
პილიოთ) დიდი

ბრანდიოზური  
წარმოგება  
(ახ გაყიდება)

წარებითი ბანანის  
(ჩვენი ზოლადგერი რომა)

ყვავის ბახარა

(ხაერის ვაუბის გაშვების  
ქროს გაშვიგონა)

ჩვენი ვაუბის გაშვიგონა  
ჩვენი ვაუბის გაშვიგონა

მთავარი ჩვენი ვაუბის გაშვიგონა  
ყვავი: ნათყ. პანჯვი

ბახარა ვახრისუყნა წყარუყნა  
— პანჯვის

(ვაუბის გაშვიგონა)  
რასწყისი. ჩვენი ვაუბის გაშვიგონა

ყვავი. ჭარბი ახრისი რაჟიქს  
ვისაჟა.

ვაუბის გაშვიგონა წყარო-ყვავი

აფიშა წაიკითხეს და პირდაპირ კლუბის კარებს მიადგნენ შიშტიბუქა და ვასტაბუქა.

კარებში ბილეთი მოსთხოვეს.

— ღირებურობა მივიღებო, ამხანაგო.

— უბილეთოდ არ შეიძლება.

— შევალთ, კონტრამარკას გამოვართმევთ.

— მაშ ჯერ ბილეთი აიღეთ და რომ შეხ-

ვალთ მერე გამოართვით კონტრამარკა.

არ შეუშვა მეკარემ ჩვენი შიშტიბუქა და ვასტაბუქა. ის-ის იყო ბილეთის შესაძენად უნდა გამობრუნებულყო ვასტაბუქა, რომ მეკარემ ნიშნი მოუგო:

— კი მაგრამ, კატები სად გყავთ?

— კატები?! — გაიკვირვა შიშტიბუქამ, —

კატები რა საჭიროა!

— მაშ ხელწერილი მოგვეცით.

— რის ხელწერილი?!

— თუ რამე გვენოთ, ჩვენ არ ვიყოთ პა-  
სუხისმგებელი...

— თაფლა კატა! თაფლა კატა! თაფლა კატა! — წასურხულა ვილაცამ შიშტიბუქას და ჩოხის კალთიდან კატას გამოაყოფინა თავი.

— მიუთუ... ფხ. ფხ. — დაამცხიკვა კატამ და თავის მომავალ პატრონს შიშტიბუქას სახეში შესცინა, ამ დროს კლუბის დარბაზიდან საშინელი წივილ-კივილი მოისმა. მცირე ხნის შემდეგ კლუბის კარებიდან ოთხი ბანალაბურძენული კატა გამოხტა ჩხავილით, კარებში მდგომმა ახალგაზრდებმა ბადე გადისროლეს და გულგახეთქილი კატები შიგ გააბეს.

— დაიჭირა! დაიჭირა! — მოისმა ხმა დარბაზიდან და ხალხში ჩოჩქოლმა იკლო.

ქოჯაკი ძაღლის ოდენა ფაფარაყრილმა კატამ ვეება ვირთხა გამოათრია და მყურებლების სიმბატია დაიმსახურა.

— იფ! გენაცვალე თათებში, მაგის ჯიშის კატა რომ შემახვედრა ას მანეთს არ დავიშურებდი. — წამოიძახა იქვე მდგომმა მოხუცმა და წვერზე ჩამოსევა ხელი.

— ბიჭო, შიშტიბუქა, ვიყიდოთ კატა?

— ღირებურობა არ ეყოლება, რომ გვათხოვოს?

— მერე, ღირებურობადე მისვლა არ გინდა? სად მაქვს ვირთხების შესაქმელი თავი!

აქ არ მოგიყვებით თუ როგორ შეიძინეს შიშტიბუქამ და ვასტაბუქამ ორი იაფფასიანი კატა; სიმშლისაგან ღონემიხილი, როგორ გარდაეცვალათ ერთი მათგანი, და მეორე როგორ დაუსახინრეს ვირთხებმა ღირებურობის კაბინეთის კარებში შესვლის დროს.

\*  
\* \*

გულთბილად მიიღო ნაფუგოდონოსორ პაწკვმა შიშტიბუქა და ვასტაბუქა.

— რეჟისორობა გვინდა, დადგმა მოგვეცით. — ერთხმად შეჰლადადეს ნაფუგოდონოსორ პაწკვს შიშტიბუქამ და ვასტაბუქამ.

— სიამოვნებით, მხოლოდ ჩვენ გვინდა აკადემიურ თეატრებს გავუსწორდეთ, „ოტელოს“ დადგმა შეგიძლიათ?

— რომელი „ოტელოსი“? — იკითხა შიშტიბუქამ.

— როგორ თუ რომელი?! — გაიოცა ნაფუგოდონოსორმა, — იულონ შექსპირის.

შიშტიბუქამ ჯიბიდან ქალაღის ნახევი ამოიღო, ზედ წაჩხაპნა რაღაც, იანგარიშა და წარმოსთქვა:

— ოტელოც არის და ოტელოც, თუ ყველა მიიღებს მონაწილეობას, ათას ორასორმოცდა ცამეტი მან. და 79 კაპ. დაჯდება.

— აჰ, არა! — ხელები გაასასება ნაფუგოდონოსორმა. — ყველას ვერ ვიზამ, რაც შეიძლება იოლად უნდა წავიდეთ.

— თითონ იანგარიშეთ, ოტელო — 280 მან. და 95 კაპ. დეზდემონა — 228 მან., იაგო — 200 მან., კასიო — 185 მან.

ნაფუგოდონოსორ პაწკვი დიდხანს დასცქეროდა „ოტელოს“ დადგმისათვის გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვას. ყოყმანის შემდეგ, როგორც იყო გამოსთქვა თავისი შეხედულება:

— არ შეიძლება რომ ოტელოს წარმოდგენა უდევდემონოთ დადგათ? ძვირია ძალიან!

— რატომაც არა! — სთქვა შიშტიბუქამ.

— არხეინად! — კვერი დაუკრა ვასტაბუქამ. — შტატი შევამციროთ, ადვილიც იქნება და უკეთესიც.

და ჩვენი გმირების „ფანქარმა“ მომქმედ გმირთა ზურგზე იწყო სეირნობა.

— კაცო, ეს ბრაბარციო ვილა ოხერია? — ჰკითხა შიშტიბუქამ ვასტაბუქას.

— ოტელოს სიმამრია, დეზდემონას მამა, — მიუგო ნაფუგოდონოსორმა.

— მერე, რა საჭიროა სიმამრი, უსიმამროთ ვერ იცხოვრებენ თუ? — გაიოცა ვასტაბუქამ. და შიშტიბუქამ დაიწყო:

— ბრაბარციო დალოი, დეზდემონა დალოი, ეს იაგოც გავრიცხოთ, ინტრიგანია და მის ადგილზე კასიო დავაწინაუროთ, რა არის

კაცო, ამ მამაცხონებულ შექსპირს რამ შეაყვარა ასე შტატის გაბერვა.

ამ საუბარში იყვნენ ჩვენი გმირები, რომ ნაფუგოდონოსორს ვილატამ თვალთ ანიშნა. ნაფუგოდონოსორმა სტუმრებს მიმართა:

— ბოდიში, ერთი წუთით დაგტოვებთ, — და გავიდა.

შიშტიბუქა ნაფუგოდონოსორის სავარძელში გაიჭინა და ვასტაბუქას მიმართა:

— ბიჭო, ძალიან კი დამშვენდებოდა დირექტორობა ხომ იცი შენ!

— იპ, დაგშვენდებოდა და მეტი არა?

— ჰო და მომყევი ახლა მე, თუ ეს დადგმა გავგიმართლდა, მოვადროთ დირექტორი და ჩვენ დავჯდეთ მის მაგივრად.

მაგრამ ნეტა თავის დღეში არ ენატრა დირექტორობა შიშტიბუქას; თითქო უკუნეთი ჩამოწვავო, უცბად ისეთი სიბნელე ჩამოაგდო თეატრში ელექტრო-სინათლის ჩაქრობამ. სიბნელეში ვილატ დაუბატიყებელი ხელები სწვდა შიშტიბუქას ყელში და სავარძლიდან ჰაერში აიტაცა.

— ბოდიში, ბოდიში ბატონო, ვხუმრობთ, რა ჩვენი საქმეა დირექტორობა, ჩვენ რეჟისორები ვართ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოილულულა შიშტიბუქამ.

მაგრამ მაინც არ ეშვებოდნენ დაუბატიყებელი ხელები: ჯერ კაბინეტში ათრიეს შიშტიბუქა, მთელი კაბინეტი დააგვეინეს, ერთი თვის დაუგველი კაბინეტი, მერე თეატრის დარბაზს მისდგნენ, ხან სკამებზე აბურთავეს, ხან იატაკზე აგორეს და ბოლოს ფანჯრიდან გადაგდებას რომ უპირებდნენ, ელექტრონ-მაც გაანათა.

დაჟეჟილ შიშტიბუქას წინ მისი შეურაცხმყოფელი, გოფილეგის მსახიობი სხვამიწერს ჩემადვასალებავილი იდგა.

— რას მერჩოდი კაცო, რატომ გამლახე?! — სლოკინით მიმართა შიშტიბუქამ.

— შენ შიშტიბუქა ხარ კაცო? მერე ხმა ვერ ამოიღე?!

და ნაცნობმა მსახიობმა შემდეგი გარემოების შესახებ უამბო შიშტიბუქას.

— მე რა ვქნა ძმაო, ამ კლუბის დირექტორს მაგ სინდისზე ხელაღებულს, ორი წელიწადია კონცერტის ფული ჰმართებს; როცა მოვდივართ, ყოველთვის უტყს აქრობს და იპარება. დღეს კი გაპარვასთან ერთად კაცოც გამლახინა; არ გეწყინოს, ჩემო შიშტიბუქა, შემეცვალე. შენი ბრალია, რა გინდოდა დირექტორის სავარძელში რომ იჯექი?

სიტყვის დამთავრება აღარ აცალა შიშტიბუქამ მსახიობს, ერთი მაგარი მუშტი უთავაზა და...

დამოეღვიძა კიდევ:

— ბიჭო, ვასტაბუქა, აღარ მიდის ეს ჩვენი ტრამვაი? — ჰკითხა ნამძინარეგმა შიშტიბუქამ ვასტაბუქას. — კი მარა, ბიჭო, წელან თერთმეტის ნახევარი იყო და ახლა ათი საათი როგორ არის?

— ეგ, ჩემო შიშტიბუქა, გუშინ იყო, ტრამვაი რომ გაჩერდა და შენ რომ ჩაგთვლიდა! — მიუგო ვასტაბუქამ და ვატმანს შეეკითხა:

— კაცო, კიდევ ვერ გადაათრის გზიდან ის ოხერი ფურგონი?!..

მის. გოგიაშვილი, გ. ივანიშვილი.

# ელვა

## „სამწუნარო“ შედეგი

ტაკო. ქალაქში დაჟინებით ლაპარაკობდნენ, რომ გენერალ არიტას მოკლე ხელები გაძოვდა. ხმები დადასტურებულია თვალთ მნახველების მიერ. ეს მეტამორფოზა გამოწვეულია იაპონიის ინტერვენტული ჯარის წინსვლის შეფერხებით ჩინეთის მიწა-წყალზე.

## „აუსხნელი“ ამოცანა

მალაგა. (ესპანეთი) ამ დღეებში ესპანეთის სანაპიროებთან შეამჩნიეს „უცნობი სახელმწიფოს“ წყალქვეშა ნავი. „უცნობი“ სახელმწიფოს ნავის კაპიტანმა გადასცა ფრანკოს რწმუნებულს მუსოლინის დირექტივები და წაიღო მისგან მორიგი პატაკი მუსოლინის მიმართ საომარ მოქმედების შესახებ.

ესპანეთის სქემებში ჩაურევლობის კომიტეტის ექსპერტებმა შეუძლებლად სცვენს იმ სახელმწიფოს ვინაობის გამორკვევა, რომელსაც წყალქვეშა ნავი უნდა ეკუთვნოდეს.

## ახალი სახელები

პარიზი. საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ ფაშისტურ ორგანიზაციის „ცეცხლის ჯვრების“ აკრძალვის გამო ჰიტლერის რწმუნებულმა საფრანგეთის „პატრიოტმა“ გრაფმა დე-ლია-როკმა გამოიგონა თავის ორგანიზაციის ახალი სახელწოდებანი: „ცეცხლის ხატები“, „ცეცხლის კურტნები“, „ცეცხლის ღინგები“, „ცეცხლის ტლინკები“ „ცეცხლის ფინიები“ „ცეცხლის ღრუტუნები“ და სხ.

## სულის შეგვირვა აკრძალულია!


ტაკო. გენერალ არაკი აპირობს ახალ საარაკო მანქანის გამოგონებას.

არაკის საარაკო მანქანის საშუალებით გამომგონებელს მიზნად აქვს ყოველდღიურად გამოუშვას მექანიზირებული, ახალ-ახალი, ცხელ-ცხელი, დამოუკიდებლობისაგან დამოუკიდებელი ტკინა „სახელმწიფო“ ჩინეთის მიწა-წყალზე.


არაკი ფირმის „თავისუფალ“ სახელმწიფოების დამოუკიდებლობაზე სულის შეგვირვა აკრძალულია.

## აღიას დაჩრი ფდავიანო

„ბაღდათის გზა შეუკეთებელია სავზო უბნისუფროსი კი ქუთაისში ქვიფობს“.



ბაღდათის გზის მკეთებელი (სავზ. უბნის უფროსს) — არიქა, ვუშველოთ, გზა დაქცეულა!  
უბნის უფროსი (რომელმაც კარგად ვერ გაიგონა) — რას ამბობ, რამდენი კვარტი დაქცეულა?



# მათარჩევნები



საქართველო  
ბიზლიროთიკა

(მოგონება მანუაშვილის გაბონის დროიდან)

ერთხელ გამოვედი თუ არა ქუჩაში, ვიღაც ცილინდრიანი კაცი ამეღვენა.

— მამულიშვილო, მამულიშვილო. — მომაცოლა მან უკანიდან და როცა მოვიხედე მანიშნა გაჩერება.

— ქართველი ბრძანდებით? — შევეკითხა ის, როცა მოათრია ჩემამდე გამოხერხილი მუცელი და ჩემს წინ გაჩერდა.

— გახლავარ. — ეუბასუხე მე ამაყად.

— საქართველო გიყვარს?

— მიყვარს რომელია? — მიყვარს კი არა, ჭიბი მაქვს მიჭრილი მისზე.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — გაუხარდა მას. — გინდა შენი საქართველო ნახო აყვავებული?

— გაზაფხულზე? — შევეკითხე მე.

— არა. მუდამ აყვავებული. ხომ გესმით რას ნიშნავს ერის აყვავება? მაგალითად, თუ გსურთ თამარ მეფე გაცოცხლდეს, შოთა რუსთველი წამოდგეს, საქართველომ დაიპყროს ქვეყანა, საკუთარი მეფე ჰყავდეს და... საერთოდ თუ გსურთ ქართველი ერის ბედნიერება?

— ქართველი ხალხის ბედნიერება რომ არ მსურდეს გიყვი ვიქნები. მსურს მას!

— შეგნებულნი კაცი ყოფილხართ. ჩვენც ვე გვინდა. ჩვენი პარტია ერთადერთი პარტიაა დედამიწაზე, რომელიც ქართველ ხალხისათვის იბრძვის. — ხელი მომიკიდა და ერთ კედელთან გამაჩერა.

— არ შეგიძლიათ ჩვენს მხარეზე გადმოიბიროთ სხვებიც? აი, მე თქვენ მოგცემთ ჩვენს პროგრამას. აუხსენით ხალხს, გააცანით, რომ ნაციონალ-დემოკრატები უსათუოდ ღირსნი არიან სახელმწიფოს ჩაუდგენ სათავეში. ტყუილად არ გაგრჯით. რამდენ ხმასაც გვიშოვი იმდენი ასეთი იქნება. — და ჯიბიდან თუშნიანს ამოაყოფია თავი.

მოხერხებული კაცი ვარ. იმავე წუთში გავერკვიე.

— რასაკვირველია თქვენი არც პარტია და არც პროგრამა ჩემთვის მისაღები არაა, მაგრამ თუ კი რაიმე სარგებლობა მექნება და მეც...

— ვიცი, ვიცი, ვიცი. უსასყიდლოდ როგორ გავრჯით ვინმეს? — შემაწყვეტინა ლპინმა და ავანსად ხუთმანეთიანი ჩამაღდა ხელში და თან ისე ჩამხედა თვალებში თითქო შექმნას მიპირებდა.

— გახსოვდეთ ლალატს არავის ვაპატიებთ. — მითხრა და გამცილდა. მეც სიტყვა გავაყოლე იმედიანი და ხუთმანეთიანი გადავყუდე ჯიბეში. მეორე ქუჩაზე ვიღაცამ გზა გადამიღობა.

— ბოდიში მეგობარო, თქვენ ქართველი ბრძანდებით?

— დიას!

— გსურთ ქართველი ერის ბედნიერება?

— რა თქმა უნდა.

— გინდა საქართველოში ბევრი ფაბრიკა-ქარხნები იყოს? გინდათ ქართველი კაპიტალისტები ყველა ქვეყნის კაპიტალისტებს სჯობდნენ? გინდათ თუ არა საქართველოს აღორძინება?

— უსათუოდ, უსათუოდ. — დაუდასტურე მე და ჯიბეში ჩადებულ ხუთმანეთიანს შევაღვე ხელი.

— მაშ ჩვენ უნდა მოგვცეთ ხმა. იცით ვინ ვართ ჩვენ? ჩვენი პარტია ეს ერთადერთი პარტიაა, რომელიც რომ... დაიცა, დაიცა, აი, ამაში ყველაფერი სწორია. წაიკითხეთ და ამხანაგებსაც გააცანით... ხომ გაიგეთ? თუ საკმაო ხმები დავაგროვებთ და სახელმწიფოს მართვა ავიღებთ ხელში, იცოცხლეთ, ჩვენ მზიანი დღე გავათენოთ. რას გვეტყვი?

— რა უნდა გითხრათ? — მივუგე მე გადაკვირით. — თქვენი პარტიის არაფერი მესმის, მაგრამ თუ კი... დიას, თუ რამე ხელსაყრელი იქნება...

ხელი გამომდგა და ნელა გამომაცილა.

— აი, ის სავაჭროები ჩემია. თუ ჩემს სიტყვებს შეასრულებ მეც არ დაგივიწყებ, შეგიძლია სხვებიც მიიმხრო?

— როგორ არა. თქვენ ალბათ ვერ იცნობთ აპალონ ბორბალაძეს. ნამდვილ ბორბალივით დავტრიალდები. ოღონდ ხეირი იყოს და...

— ოო... იცოცხლე, ჩემო აპალონ! — ხელი ჩამომართვა მან. — შევიართო სავაჭროში. ზამთარია, შე კაცო, უპალტოდ როგორ ივლის კაცი?

შევიართე. როცა უპალტოდ შესული პალტოში გამოწყობილი გამოვედი ოდი მალაზიიდან მან უკან მომაცოლა.

— მოიცა, მოიცა, გვარი და მისამართი ჩაგიწეროთ, შე კაცო.

— „არჩილ ბერიკაძე“. — ჩაიწერა მან წიგნაკში მისამართი (რომელიც მე არ მქონდა).

ოდნავ გამოვიცილდი იმ ადგილს, თუ არა ახლა სხვამ გადამიღობა გზა.

— ბოდიში მეგობარო, თქვენ ქართველი უნდა იყოთ. — თვალებში ჩამაცქერდა:

— სწორია. — ეუბასუხე მე.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი. გეტყობათ ჩვენი ერის სვებედლი გაწუხებით, ისიც თქვენი ოცნებაა უთუოდ, რომ საქართველო ფაბრიკა-ქარხნებით გაიჭედოს, ქართველი კაპიტალისტები ევროპის კაპიტალისტებს ამოუდგნენ გვერდით. მაშ თუ ასეა, თქვენი და თქვენი მეგობრების ხმა ჩვენ უნდა გვერგოს. ჩვენი პარტია ერთადერთი პარტიაა, რომელიც...

— ვიცი, ვიცი, ვიცი. — შევაწყვეტინე მე. — ვიცნობ მე თქვენს პარტიას მხოლოდ, მართალი რომ გითხრათ, არ მომწონს თქვენი პარტია...

— არ მოგწონთ? საკვირველებაა! შეუტყდენიხართ მაგ ბოლშევიკების მოსყიდულებს. — ხელი გამომდგა. — გავყვით, ნუთუ თქვენ იმის წინააღმდეგი ხართ, რომ ეს სომხები და ებრაელი ვაჭრები გავფერთხოთ აქედან? მართლა. შეგიძლიათ სხვებიც მოიმხროთ?

— შემიძლია, რომელია? თქვენ არ იცნობთ აპალონ ბორბალაძეს, ოღონდ რამე იყოს და...

— როგორც სჩანს, არ იცნობთ ჩვენს პროგრამას. რომ ქართველი ფედერალისტები არა, სულ განადგურებული იქნებოდა ჩვენი ქვეყანა. ჩვენი პარტია, ეს ერთადერთი პარტიაა, რომელიც ერის თვითგამორკვევას...

— გასაგებია. გასაგებია. — შევაწყვეტინე სიტყვა. — მე თანახმა ვარ, მაგრამ... ფეხსაცმელებზე დავიხედე, რომელსაც ლანჩა გამოცლოდა და თითები მერცხლის ბარტყებივით იცქირებოდნენ გარეთ.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, თქვენი პლატონ ბლაცუნაძე მალე ახალი ფეხსაცმელებით შეიმოსა.

— ეს არჩევნები ყოფილა საქმე. — ვფიქრობდი მე, — ეგ ბრიყვები ამასაც საჩარჩო საქმედ იყენებენ, მე დავსციანი ეგენი კი...

სანამ ქუჩის ბოლომდე მივალწევდი ორმოცამდე კაცი შემხვდა. აღარც მახსოვს რამდენნაირი პარტიის წარმომადგენლები გამეცნენ. ყველა საქართველოს გაბედნიერებას მიპირებოდა ოღონდ ხმა მიმეცა.

— არა, კარგი ხმა მქონია, — ვფიქრობდი მე და გემოიანად მივიღინობდი ჩემთვის.



ძაღლები — ვინაც ჩამოხვალთ აჯამეთს, საკბილო რამე გვაჭამეთ,

თუ არ დასტოვებთ საგზალსა, თქვენც შეგჭამთ და თქვენს ბარგსაცა.

— აფხანიკო, აფხანიკო! — მომესმა უეცრად ყურში და რომ მოვიხიდე სამი შეიარაღებული კაცი დავინახე ჩემსკენ მომავალი.

— რომელ პარტიას ეკუთვნი აფხანიკო შენ? — მოახლოვებისთანავე მკითხა ერთმა იმათგანმა და ხელი მაუზერის ტარზე აათამაშა.

— არც ერთს. — მივუგე თამამად მე.

— მე არ გეხუმრები. — მიყვირა მან და მაუზერი ზევით ამოსწია.

— ამოიღე ხმა, თორემ გაგაჭერე ახლავე... თეოფილა! გოუჩხრაკე ჯიბეები. ოჰო, კარგი ამბავია. რაა ეს ოქრო? მითხარით რას ნიშნავს ეს? ხომ იცით, ჩვენს პარტიას როგორ სჭირია ოქრო. ა! — ჩაუშვა თავის ჯიბეში ჩემი ოქროს თუმნიანი.

— არ გესმის? — ჩამარტყა მეორემ კისერში კონდახი. — რომელ პარტიას აძლევ ხმას? — მეორე ჯიბიდან მეორე თუმნიანი ამოიტაცა და ჩაიჯიბა. — კარგა მდიდარი ყოფილხარ. სთქვი რომელ პარტიას მისცემ ხმას? სთქვი, თორემ... — და მაუზერის ტუჩი მომადგა შუბლზე.

— თქვენს მეტს ვის უნდა მივცე ხმა? — ვუპასუხე კანკალით და ოდნავ იმედი მომეცა.

— აი, ასე სთქვი. — დაუშვა მაუზერი მან, მაგრამ უცებ თითქო რალაც მოაგონდა, ისევ ასწია ლევორველი და შუბლზე მომადგა.

— რომელია ჩვენი პარტია? — მიყვირა ისევ მან.

აი ახლა ხარ ცოდვა საწყალო პლატონა, მოდი და გამოიცანი

ახლა რომელ პარტიას ეკუთვნიან ესენი. ბევრი ვიფიქრე და ბოლოს როგორც იქნა მივაგენი.

რახან ყველას პარტია და საარჩევნო ნომერი ჰქონია, რატომ ყაჩაღებს არ ექნებათ თავისი ნომერი-მეთქი და ვუპასუხე.

— ყაჩაღების პარტია, ამხანაგებო!

— რაო? — შესძახეს ერთხმად სამივემ.

— აბა, ყაჩაღები ვყოფილვართ ჩვენ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები. ა?

— მაშ მენშევიკები ყაჩაღები ვართ არა? — და ჩამარტყეს ზედიზედ კისერში.

უბედურება ამას ჰქვია. რა უნდა ვქნა? ჩავვარდი ისევ ფეხებქვეშ.


— მაპატიეთ, შემინდეთ, შევცდი, სად ყაჩაღები და სად თქვენ? ამას თქვენი საქციელიც ადასტურებს. გამიშვით ცოცხალი და არამც თუ ხმას, არამედ ყველაფერს თქვენ მოგცემთ. — ავტირდი, ავჭკითინდი და ვიხსენი თავი.

— იცოდე არ იმამაძაღლო ჩვენს დასანახავად ჩადე კონვერტში ჩვენი პარტიის ნომერი და ისე ჩააგდე ყუთში, თორემ სიქას გაგაცლით. — დამარბგეს და გამომიშვეს, მაგრამ ვაი იმ გამოშვებას, იმ შიშზე რომ ავად გავხდი ორ წელიწადს არ ავმდგარვარ.

ასე მივიღე მონაწილეობა „დემოკრატიულ“, „საყოველთაო“ და „თავისუფალ“ არჩევნებში შავად სულცხონებულ მენშევიკურ მთავრობის დროს.

პ. ოზოლი.

# ბინალრამა თუ ბინაკოლეია?



(თბილისი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირდაპირ მდებარე უნომრო სახლი. აივანზე ყოფილი თეთრგვარდიელი ამჟამად ამ სახლის მეპატრონე გ. სულიკაშვილი. აივანზეა აგრეთვე ამისი და ნინო სულიკაშვილი.)

## სურათი პირველი.

გიორგი — ნინო, ჩემო ნინიკო, გინდა ხომ ოთახი?  
 ნინო — მინდა, აბა არ მინდა?!  
 გიორგი — თუ გინდა და მიჩუქნია მთელი ნაძალადევი შენთვის!  
 ნინო — ეგ ჩუქება მართლა ნაძალადევია ჩემო ძამიკო.  
 გიორგი — აბა ნავთლულს დაგიმტკიცებ.  
 ნინო — ნავთლულს მოვლა უნდა შე კაცო.  
 გიორგი — ვერც ორთაჭალას მოუვლი?  
 ნინო — მაგდენ ქონებას რა გაუძღვება, მე პატარა რალაც მინდა თავშესაფარი.  
 გიორგი — აბა უნივერსიტეტის შენობას დაგიმტკიცებ.  
 ნინო — ოხ, შე ფაფხურავ. მართლა რომ რამე შეგეძლოს ჩხირს არ გაიმეტებდი.  
 გიორგი — ვის ქალო, მე არ შემიძლია?! მე ვარ ფაფხურა? მე ძველ ნიკოლოზის აფიცრს გიორგი სულიკაშვილს არ შემიძლიან არაფერი?! მთხოვე რამე და მოგიკვდე თუ არ შეგისრულო!  
 ნინო — აბა, აგერ ჩინჩალაძეებს რომ ბინა აქვთ ეს მაჩუქე.  
 გიორგი — მიჩუქნია.  
 ნინო — კი მაგრამ, ჩინჩალაძეები რომ არ შემიშვებენ.  
 გიორგი — არ შეგიშვებენ? მაცალე აბა!

## სურათი მეორე.

(ჩინჩალაძეების ბინა. სახლში არიან: მარიამ ჩინჩალაძე და შისი პატარა ბავშვი. შემოიჭრებიან გიორგი და ნინო სულიკაშვილები).  
 გიორგი — აბა, ვიფხიკეთ აქედან!.. მოგწონს ჩემო დაო, ეს ოთახი?  
 ნინო — კი შენი ჭირიმე, ძამიკო!  
 მარო — რა გნებათ?!  
 გიორგი — ოთახი ბიძია, ოთახი ამ წუთში თუ არ აიფერთხებით აქედან, მეწყინება იცოდე.  
 მარო — გადირიეთ ბიძია გიორგი?!  
 გიორგი — ჯერ არ გადაფრულვარ, მაგრამ თუ ოთახი არ გავინთავისუფლებიათ ამ წუთში, გადვირევი.  
 ნინო — მოიცა ძმაო, თუ გადამერიე ცეცხლიც წაკიდებია აქაურობას.  
 გიორგი — ცეცხლს რავა წაუყიდებ! მტერს გავახარებ? სულიკაშვილი მოგიკვდით თუ არ გიცვალთ ფერია.. არ მომეკაროთ!...  
 მარო — რას გვემართლები ბიძია გიორგი?! ((ჩაიკეცება))  
 (ეს სურათი მეორდება რამოდენიმეჯერ. გიორგი სულიკაშვილი სურათის სხვადასხვა ვარიანტებში სხვადასხვა ზომებს ღებულობს: ახალ ხერხებს იგონებს ჩინჩალაძეების ასაწიოკებლად).

## სურათი მესამე.

(იმავე სახლის აივანი. გამოობის მეზობლის ქალო და ჭკვივის) ქალო — არიქა ხალხო, გვიშველეთ! მარომ თავი შრიკლა... (გამოცვივან გიორგი და ნინო).  
 გიორგი — მიჰქარავს, ბინის შენარჩუნება უნდა, ფანდია, ფანდი! ვის ატყუილებს ეგ მართლა მოსაწამლი? (ხალხი თანდათან გროვდება).  
 ნინო — ჩემო ძმაო, კი მარა, ვინ მისცა მაგას ჩემს ბინაში თავის მოწამვლის უფლება?  
 გიორგი — (ერეკება ხალხს) რაზაიდიტეს... ბისტრო! — ბეზ რაზგავორა, ჟივო! (მეფხოვეს ცოცხს ხელს წამოავლებს და ხალხს გამოეკიდება, გამოჩნდება სასწრაფო დახმარების მანქანა, შემოდის ექიმი, გიორგი და ნინო წინ გადაელობებიან).  
 ექიმი — აქ იმყოფება მოწამლული?  
 ნინო — ფანდია ბატონო, ფანდი!  
 გიორგი — თქვენ ექიმი ბრძანდებით, ბატონო?  
 ექიმი — დიას!..  
 გიორგი — მერე, საქმე გაგიწყდა ქვეყანაზე?  
 ექიმი — როგორ?!  
 გიორგი — როგორ და შეაყოლე აქედან! ამხელა კაცი დავბერებულვარ, ფრჩხილი არ წამომტკენია და ახლა შემოვუშვებ ექიმს ჩემს ეზოში?  
 ექიმი — (გაბრაზებული) ვინ გამომიძახა, ვინ შეგვიყვანა შეცდომაში. მოწამლულიაო დაგვიძახეს და აქ კი სულით ავადმყოფი დამახვედრეს.  
 გიორგი — ვინ არის სულით ავადმყოფი მე შენი... (წაიწევს ექიმის საცემრად).

## სურათი მეოთხე.

(იგივე აივანი. გიორგი სულიკაშვილი ჩინჩალაძეებს უკითხავს ორჯონიკიძის სახ. რაიონის სასამართლოს „ბრძულ“ განაჩენს).  
 გიორგი — მიილო რა მხედველობაში სასამართლომ ის მდგომარეობა, რომ ჩინჩალაძეები სამი წელიწადია დროებით ცხოვრობენ ბინაში, ამის გულისათვის გამოსახლებული იქნან და ბინა მიეცეს ნინო სულიკაშვილს როგორც ძმამ აჩუქა.  
 მარო — რა არის ეს ბიძია გიორგი?!  
 გიორგი — რა და სასამართლოს განაჩენი. აბა სასწრაფოდ აიფხიკეთ აქედან (გიორგი სულიკაშვილი ძალით აპირობს ბარგის გამოყრას ჩინჩალაძეების ბინიდან).

## სურათი მესხეთე.

(მესხეთე და უკანასკნელი სურათის დაწერისათვის ვუცდით საქრესპუბლიკის სახალხო პროკურორს).  
**ლონ-კიხოტი და ჯარაგიოზა**

# რ ა მ ე - რ ე მ ე

ჰერი ბიჭო! ტაში! ტაში!  
მიხიციანებს რალაც თავში!  
ქალს ბოტები ვერ ვუშოვე,  
დამიშინა კეტი თავში.

ისევ ძებნა გავაგრძელე,  
შევირიგო მინდა „მთვარე“,  
ვინახულე საბურთალო,  
ღეზერტირზე შევიარე.

თორმეტ თუმნად დამიფასეს  
ორი თუმნით მონაგარი...  
ჰერი ბიჭო! ტაში! ტაში  
მიხიციანებს თავში ქარი!

ჰერი-გიდი! ტაში ტაში  
გამოვედი გარეთ, კარში,  
„ქალაქ გარეთ“ წასვლა მინდა  
ვაქეში თუ ავლაბარში.

ტაქსის შოფერს ავედევნე  
რაც კი მქონდა მუხლში ძალი,  
არ წამომყვა: ხალტურაზე  
კოჯორს იყო მიმავალი.

ტაში-ტუში, კატო, ნიკო,  
დაუარე! დაგშვენდება,  
გარეთუბნის მატარებლებს  
შეუთვალო მინდა ქება.

და ის ქება სათითაოდ  
ეკუთვნის მის კონდუქტორებს,  
(მწამს, ნიანგო, რომ მათ შენი  
ჩანგლის წვერი გაასწორებს).

სანთლებს ღამით გასანათებს  
აცოცხებენ ნელა-ნელა,  
ვაგონი კი „ჯოჯოხეთი“  
გეგონებათ, ისე ბნელა.

ტაში-ტუში! ტუში-ტაში  
თოვლის შუქი გაჩნდა ცაში  
ზამთარია. სიცივისგან  
მეყინება ტვინი თავში

ავვისტოში სიცხისაგან  
როს ვდნებოდი ოფლის ღვარად  
ეზოებში „კერასინ-ო“  
გაისმოდა წარა-მარად.

დღეს კი, როცა ზამთრის ქარი  
სახის კუნთებს წითლად ფარჩავს,  
ნავთის ხელზე გამყიდავი  
დაკარგულა, არსად არ ჩანს.

სად ხარ, სადა, მეგობარო!  
გაიღვიძე! კმარა ძილი!  
მოგვევლინე, მოგვასმინე  
იადონის ჰანგი ტკბილი.





ე.ლ.

- ეს რას ჰგავს ამხანაგო დირექტორო, თქვენს მაღაზიაში მხოლოდ ვიტრინაში ალაგია საქონელი?
- რას იზამთ, ჩვენს მაღაზიას საჩვენებელი მაღაზია ჰქვია!

## ნერილი მამას

სალამი და გამარჯვება  
მამაჩემო ნიკიფორე!  
როგორც იქნა ეს ზაფხული  
ხომ მშვიდობით მოვიშორეთ.

აქ, თბილისში, ცივა უკვე  
უცოლოდ ვარ ისევ მარტო,  
სამი თვეა მკერავტრესტმა  
ვერ შეკერა ჩემი პალტო.  
იწერები: — თბილი რამე  
შეიძინე, არ გაცივდე. —  
კოოპერატივის მაგის მსგავსი  
თუ მოსვლოდეს — მე მოგიკვდე.  
მაღაზიის შესასვლელში  
რიგში დგომა დამარიგეს,  
მაგრამ კალოშების ნაცვლად  
თეთრი ტუფლი დაარიგეს.

ადგილკომის თავმჯდომარემ  
სიტყვა მოგვცა „მეფისტოში“,  
საყენ შეშას, ხმელს და დაჭრილს  
რომ მივიღებთ აგვისტოში...

### მოსწრებული კასუხი

პროვინციის თეატრებში წარმოდგენებს  
ხშირად ძალიან გვიან იწყებენ. ჩოხატაურის  
რაიონის ერთერთ საკოლომეურნეო კლუბში  
მსახიობი დიდი ექსტაზით კითხულობდა  
ლექსს:

გათენდა, ხედავთ გათენდა, ძმებო!..  
— მსახიობო, დაუჩქარე, თორემ გახედე,  
გარეთაც გათენდა. — შესძახეს აუდიტორი-  
იდან.

ეკალი

ამას წინათ სურდო მქონდა  
არც ვიწუქ, არც მახველებდა,  
„სახმედტორგის“ თერმომეტრი  
ორმოცდაცხრას აჩვენებდა.  
უბნის ამბულატორია  
დამეხმარა კარგად მაგრამ —  
შინაგანის მაგიერად  
ვეტერინარს მიმამაგრა.  
„ლიუქსის“ კოხტა მაღაზია  
პატივს ვერ გვცემს ეხლა დიდად  
არ იქნა და ფეხსაცმელი  
არასგზით არ მოუვიდათ.  
ტროლეიბუსს შევეჩვიე  
მხოლოდ გუშინ გავებუტე,  
კართან დენმა ისე დამკრა  
რომ კონდუქტორს ჩავებუტე.

კუკარაჩა



# მჭობნის მჭობი



(იგავისებური)

იყო სოფელ ჩახუნდარეს გლეხი, კოჩა კოჭახია, მისი ბინა წნული ფაცხის ფარღალაღა ოთახია.

სიღარიბით მორთული და სიღატაკით მოკანზული; კედელს ჩანდა წყვილი ჯღანის ხის კაჩხაზე ჩამოცმული.

ფაცხის უკან იდგა ზვინი, რას ეჭამა, აბა, ჩალა, როცა ერთ ღობის სარზე ერთად ერთი ცხენის ქალა?

თორემ ცოცხლად სხვა ცხოველი კოჩას ეზოს არ ფოლავდა, ძაღლიც არ ჩნდა და მეტ წილად ქოხში ცეცხლიც არ ბოლავდა...

და სთქვა კოჩამ: „დრო გაფუტდა, რა გზა დამჩნა, რა სავალი? არც შრომას აქვს რამე ფასი არც ქურდობას ვასავალი...“

მოდო, წავალ, ქვეყანაზე მგორავ ქვას არ ეკვრის ხავსი, სხვა თუ არის, მეც კაცი ვარ, ბურს იშოვის ჩემი მსგავსი...

მიღის კოჩა ჯოხის თრევით, ხან უსტვენს და ხან ღიღინებს, გზის ერთ მხარეს ჩირგვნარია, გზის იმ მხარეს ტყე ბიბინებს.



ტყიდან უცებ გამოვარდა ავაზაკი თოფით ხელში, კოჩა ლამის გარდაქარდა, შიშისაგან გაწყდა წელში.

რა აქვს კოჩას, რომ მოიგოს ავაზაკის ხარბი გული, როცა კაცი სიღატაკით თვითონ არის დადაგული?

— ხელი ზევით! — მიამხა, მოუშინა შორით თოფი, ტლანჭი ჩანდა ავაზაკი, უდიერი როგორც ცოფი!

დადგა კოჩა მის წინ უხმოდ, რეტდასხმული და უაზრო, გამარჯვებაც ვეღარ უთხრა, ქუდის მოხდაც ვერ მოასწრო.

და ორივე ხელაწეული, დაუდებულ ფიწალს ჰგავდა, შიშისაგან სულ გაშრა თითქოს, არც იძვროდა, არც სუნთქავდა.

და როდესაც ავაზაკმა დაუშინჯა უბე-ჯიბე, ის ხეს ჰგავდა, ძირზე გამხმარს, ზედ მიგედგათ თუნდაც კიბე...

— ვირის თავო! — ავაზაკმა დაუყვირა კოჩას ბრაზით: ხელის რევა თუ მინდოდა მაგ კონკებში, შენის აზრით!..

უხალთუნიც არ გიგდია არც ჯიბეს და არც უბეში, წელან იდექ გაქირვივით, ახლა ასე რაღად ხენეში?

რა სიმძიმე დაგწოლია ან რა ჯაფა გადგას თავზე? რითი ვინდა გვამისტუმრო, როგორა ხარ ჩემთან ზავზე?!

— შენს ხელში ვარ! — უთხრა კოჩამ — ვინდ მაცოცხლე, ვინდ მომკალი, მთელი დღე არ მიჭამია, ძლივს დავდივარ მე საწყალი.

ამ ტყის იქით სოფელია, მსურს რითიმე გავიხარო, თუ თხოვნით რამ ვამივიდა, თუ არა და... მოვიპარო...

— როგორ? ქურდობ კიდევ შენა?

დაუყვირა ავაზაკმა. ჯერ მის ტუქსევამ გაიტაცა, შემდეგ მასთან ლაპარაკმა.

იცნო ქურდში უმცროსი ძმა და დაუტკბა, როგორც თაფლი: — „კარგი მოგდევ მეც სოფელში, თავის ჩენას ჯერ შენ გაცლი...“

მართლაც ტყის პირს, იქით მხარეს, თვალი მოჰკრეს სოფლის ქოხებს, კოჩამ ჯოხი მოიმარჯვა, მიღის ქოხთან და იჩოქებს.

— „ენა კობიკ!“ „დიო კობიკ!“ — უცხო ენით თავს იმონებს, იგრიხება, იმანჭება, ჰბაძავს მთხოვარ ტრაპიზონელს.

და დაუყვა სოფელს ასე, ზოგან მისცეს, ზოგან — არა, ასე თხოვნით მთელ დღეს თავი არ აბაზს ძლივს მოუყარა.

საღამოზე ავაზაკმა კოჩას მხარზე დაჰკრა ხელი, უთხრა: „მთელს დღეს შენს თხოვნაზე მე სიცილს ძლივს გაფუძელი. მათხოვრობა რას მიქვია? მოთხოვნას აქვს ვასავალი! ხვალე იყოს ჩემი ჯერი, დე, დარწმუნდეს შენი თვალი!..“



მეორე დღეს ორთავ ტყეში მათ ამოყვეს ისევ თავი. ნახეს: მოღის გზაზე ცხენით ვიღაც მდიდრის მოურავი.

თურმე მოაქვს უბით ფული, ათასობით დასტა-დასტა... ავაზაკი თოფით ხელში ჩირგვებს თავზე გადმოახტა.

და შესძახა იმ ცხენოსანს: „შესდექ, თორემ გაგათავე!“ ცხენოსანმაც ცხენს მოსწია, შეაყენა იმ წამსავე.

ამოილო დასტა-დასტა და ავაზაკს მიუთვალა, რეტდასხმულმა ავაზაკმა ცხენოსანს გზაც დაუცალა.

და ფულეებით ჯიბის ტენამ ისე ძლიერ გაიტაცა, რომ ვერც მიხვდა, გაძარცულმა „ზურგს დამბაჩა როგორ დასცა...“

იქვე გზაზე გაიშლართა სიხარბისგან ტყვიის წერა, მაგრამ ამ დროს კოჩამ ის ტყე სულ ყვირილით გააჯერა.

და ხელში ჯოხმომართული ცხენოსანმაც ის რომ ნახა, ცხენს ქუსლი ჰკრა, თანაც შიშით გაწვა ცხენზე, გაიფახა.

და გაჰკურცხლა, გააქენა ცხენი უკან მოუხედად: — ავაზაკთა ურდოს შეეგვდი და გადგურჩი, ამბობს ბედად!..

კოჩამ კი, რომ დაინახა ცხენოსანის გარდაქარვა, ტყიდან იწყო ნელნელ ძრომა, ჩირგვებ-ჩირგვებ გამოპარვა.

კრძალვით გზაზეც გამოვიდა, და ავაზაკს მიჰყო ხელი: რაც კი იყო, სულ წაიღო დასტა-დასტა ვაუხსნელი.

და ტყეს მისცა ისევ თავი, გადასჭრა და გადიარა, იქაც ნახა სხვა სოფელი, ქოხებს თხოვნით დაუარა...

ზოგან მისცეს ცოტა ფული, ზოგან — მჭადი, ზოგან — ყველი, ასე ფულიც აგროვა და გაისველა თანაც ყელი.

და ნელ-ნელა თავის სოფელს დაუბრუნდა „ბედნიერი“; ვის უნახავს ამის შემდეგ ის მთხოვარა ან მშიერი?



ა. კანდილაკი

დაღამებამდე გაიხმის

— სკამი წაიღო, დაჭკარი...

და დროს ატარებს, ერთობა  
მოსაღიღეთა ლაშქარი.

ქურდობასაც ხელი აღო  
და „აღალი“ მუშაც გახდა,  
ამბობს: „ხალხი სულ გაირყვნა  
და სოფლური ყოფა წახდა.

ძმა ძმას ვეღარ დანდობია;  
ამხანაგი — ამხანაგსა,  
მსურს გავცილო სოფლად რაც  
მაქვს,  
ვადავსახლდე სხვა ალაგსა!..“

მართლაც იმას, ამას მისცა:  
ფაცხა, ეზო და საჩეხი...  
— წახდა კოჩა! — იძახიან —  
დაიღუბა ერთი გლეხი!..

კოჩას გულში ეცინება  
ხალხის ასე გაბრიყვება,  
გაასწორა სოფლად საქმე  
და ქალაქის გზას მიყვება.

ამბობს: „სცდება ხალხი, როცა  
ქედმაღლობს და პირდაპირობს,  
კაცი უნდა ხერხსა ჰგაუდეს,  
უჯობს, თუ რომ ბირდაბირობს.

რომ შეეძლოს იქით-აქეთ  
გაძრომა და გამოძრომა,  
თორემ, აბა, რას მოგიტანს  
ერთ ადგილზე მართო შრომა?

ვთქვათ, შრომით საღ  
შევიძენდი  
ამოდენა დასტა-დასტებს?!  
და ხშირხშირად სინჯავს ჯიბეს,  
ნაძარცვავს თუ ზედ ნამატებს.

და ფიქრობს, რომ მჯობნის  
მჯობნი

იგი არის ქვეყანაზე,  
რომ უეცრად ავაზაკმა  
შეაყენა იქვე, გზაზე.

— ხელი ზევით! — დაუყვრა  
მოუმიზნა გულში თოფი,  
ტლანქი ჩანდა ავაზაკი  
და ურიდო, როგორც ცოფი!..

— ამოყაქე, თუ რამე გაქვს  
უბე-ჯიბეს ჩანადები,  
ყვავს კაკალიც რომ დაგტყუო,  
შენც ხეირად ჩავარდები!..



და გოცდა ავაზაკი,  
რომ ამოყვა დასტა-დასტა,  
გულის ალღოს ქება უძღვნა,  
სიხარულით ახტა, დხტა.

და სთქვა: „ზოგჯერ ხეირია  
ამ ჩულღან კოჩას მსგავსიც!“  
და დასტებს ზედ მიყულო  
ფაცხისა თუ მიწის ფასიც!..

დე, შეიგნოს კოჩამ ძალა  
ამ ივანში აზრის მყარის:  
მჯობნის მჯობნი ქვეყანაზე  
ულეველზე მეტიც არის.

ან ვინა სთქვა საიმედოდ  
გაძრომა და გამოძრომა?  
კაცს შეაქმევს ტკბილ პურს  
შხოლოდ  
ალალი და ნაღდი შრომა!..  
ზიბო.



— ვახ! მე ხალხმა შავი საქმე მყოფ, ღუქანი ჩამომართვა, ტიტ-ლოკანდ გამხალა და ახლა ჩემგნით მათ კანდიდატებს თითოი კენჭი მივიცი? მან ჩუნესი ხად ვაგონილა? აუსუს კარაბე ბულღანი-ჩო, რა იშვილს ვაპირებენ.



ყოფილი ნეჰემი ამჟამად გადაამყიდვლი:— მე არა-ფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ არჩევნები ფარულა. დე, არჩე-ვნები ფარული იუს, მაგრამ ცერძო ვაქრობა კი აშკარად უნდა წარ-მოებდეს... ეხ, რომელი კანდიდატიც არ უნდა აირჩიონ, ცერძო ვა-ქრობის თავისუფლებას აჩვენ არ მოგვცეს და ამიტომ საარჩევნო უბანს ახლოსაც არ გავეკარები.



გლვდილი.— თორმეტი მილიქელის თორმეტი ნახარებაც რომ შემეწიოს თორმეტ დეკემბერს, ჩემს საქმეს მაინც ვეღარაფერი უშ-ველის.



უო.უ. ქალბატონი ფერი კიდევ არ არის გამოიმადენებულა და მოტყუებით ღებულხას პენსიას „რეკოლუციური დამახურბი-სათვის“ სოციალუფივის ორგანიზებია.  
— არ მომწონს არც მათი არჩევნები და არც კონსტიტუცია, რას მოქვია შრომის უფლებას სულ ერთია, პენსიაც რომ მომიხსნან მაინც არ ვიზმუზებ.



მინწიპიპი:— ჩენი საქმე მუდამ ცუდად იყო. ტროცკისტ-ლივრსანტ-გაშუშებთან ბლოკის ბამროაშკარავენიის შებდებ მაინც ჩენი საქმე წახულია.



ღივირისანტი:— მე და არჩევნები, ორივე დარული ვართ, მაგ-რამ ერთმანეთს მაინც არ გვაღარებენ.



ორპირი:— მე მაინც არ დავთანხმდებო ჩემი კანდიდა-ტურის წამოყენებას საბჭოების არჩევნებში. ვიცი: გამაშვიებდენ თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ფარულად გამაშვიებას, როცა აშკარად მაშვიებენ?



მაცნებელი.— ვიცი მეც მალე გამაშვიანია... მაგრამ უზენაეს საბჭოში კი არა.

# როგორ მიჩვენან გუბერნატორად



საბუღალტრო  
საბუღალტრო

რამდენიმე ხნის წინათ ნიუ-იორკის დიდმა შტატმა დამოუკიდებელთა სიაში წამოაყენა ჩემი კანდიდატურა გუბერნატორად მისტერ ჯონ ტ. სმიტისა და მისტერ ბლენკ ჯ. ბლენკის წინააღმდეგ. მე შეგნებულნი მქონდა, რომ ამ ბატონების წინაშე მე მაქვს ერთი დიდი უპირატესობა, სახელდობრ — კარგი რეპუტაცია. გაზეთების მიხედვით არ იყო ძნელი დანახვა, რომ თუ მათ ოდესმე იცოდნენ რას ნიშნავს კარგი სახელი, ეს დრო დიდხანსა გავიდა. ცხადი იყო, რომ უკანასკნელ წლებში ისინი გაცეცხენდნენ ყოველგვარ სამარცხვინო ცოდვებს, მაგრამ სწორედ იმ წუთში, როდესაც მე აღტაცებული ვიყავი ჩემი უპირატესობით და გულის სიღრმეში დავსციროდი ჩემს მოწინააღმდეგეებს ჩემი ბედნიერების სიღრმე შეარყია რომელიღაც ტალახისფერმა ჩქერმა, სახელდობრ იმან, რომ ჩემი გვარი ჰგავდა ამ ბატონების გვარს. თანდათან უფრო შევშფოთდი. ბოლოს ამის შესახებ მივსწერე ბებიას. მისი პასუხი იყო სწრაფი და მტკიცე. იგი მწერდა:

„შენ თავის დღეში არ ჩაგიდენია ისეთი რამ, რისიც შეიძლება გრცხვენოდეს. — არც ერთი. ნახე გაზეთები — წაიკითხე ისინი და მიხვდები, თუ რა ხალხია ეს სმიტი და ბლენკი და შენ თითონ გადასწყვეტ შეგიძლია თუ არა დაეცე მათ დონემდე და საქვეყნოდ შეეჯიბრო მათ“.

სწორედ ჩემი აზრია! იმ ღამეს არც ერთი წუთი არ მიძინია, მაგრამ ბოლოსდაბოლოს უკანდახევა აღარ შეიძლებოდა. მე ავიღე ვალდებულება და უნდა განვაგრძო ბრძოლა. საუზმეზე აღელვებით ვფურცლავდი გაზეთებს და ვნახე შემდეგი შენიშვნა. დაე დამიჯერონ, რომ ასე არასდროს არ ვყოფილვარ აღელვებული:

„**ცრუმოწმობა** — შეიძლება ახლა, როდესაც მისტერ მარკ ტენი ჯამოდის ხალხის წინაშე. როგორც გუბერნატორობის კანდიდატი, იგი ღირსგვყოფს აგვიხსნას თუ როგორ ამხილა იგი ცრუმოწმობაში რაცდა თოთხმეტმა მოწაფემ ვაკავაკაში. კონხინი-ში 1863 წელს, რომელი ცრუმოწმობის მიზანიც მდგომარეობდა იმაში, რომ ადგილობრივი მცხოვრები ღარიბი ქვრივისა და მისი საწყალი ოჯახისათვის წაერთმიათ ბანანების საცოდავი ყანა, რაც წარმოადგენდა ერთადერთ სასოებას ოჯახისათვის მის სისაწყლესა და სიღატაკეში. მისტერ ტენი ვალდებულია ეს ისტორია გამოარკვიოს როგორც საკუთარი თავის, ისე დიადი ხალხის წინაშე, რომლის ხმებსაც იგი ეძებს. გააკეთებს იგი ამას თუ არა?“

კინალამ გავსკდი განცვიფრებისაგან! რა უფულო, სასტიკი ბრალდებაა. მე არასოდეს არც კი მინახავს კონხინი! მე არასოდეს არ გამიგონია ვაკავაკი! მე არ ძალმიძს ბანანი გავანსხვავო კენგურუსაგან! მე არც კი ვიცოდი რა უნდა მექნა. ვიყავი ვაცოფებული, მაგრამ უმწეო. მთელი დღე ვიხეტიალე და ვერაფერი გავაკეთე. მეორე დღეს იმავე გაზეთმა დაბეჭდა შემდეგი — არც-მეტ, არც ნაკლები:

„**საბუღალტროს მ-რ.** — მ-რ. ტენი, უნდა აღინიშნოს. მჭევრმეტყველურად სდუმს კონხინის ცრუმოწმობის ვარაუდს“.

(შენიშვნა. — ამ დროის შემდეგ საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ეს გაზეთი მე სხვა არას მიწოდებდა, თუ არ — „საბუღალტრო ფიცისდამრღვევი ტენი“.)

შემდეგ გამოვიდა „გაზეთი“ ასეთი შენიშვნით:

„**საინტერესოა ვიცოდეთ.** — ხომ არ ღირსგვყოფს გუბერნატორობის ახალი კანდიდატი აუხსნას ზოგიერთ თანამოქალაქეს (რომელთაც აქვთ უბედურება ხმა მისცენ მას) ის მცირე გარემოება, რომ მონტანში, მის ამხანაგებს ბარაკში ხანდისხან ეკარგებოდათ ზოგიერთი პატარა ძვირფასი ნივთები, ისე რომ, ბოლოსდაბოლოს; იმდენად რამდენად ამ ნივთებს ყოველთვის პოულობდნენ მისტერ ტენთან ან მის „ჩემოდანში“ (გაზეთი, რომელშიაც იგი ხვევდა თავის შენიშვნას), ისინი იძულებულნი იყვნენ მისივე სარგებლობისათვის მეგობრულად დაერიგებინათ იგი — წაუსვეს კუბრი, დაგორეს ბუმბულში და ჭოკზე შემჯდარი გასეირნეს ქუჩაში, ხოლო შემდეგ ურჩიეს მას პერმანენტული სიცარიელე დაეტოვებინა იმ

ადგილზე, რომელიც მას ეჭირა ბარაკში. შეასრულდეს ამას იცოთ თუ არა?“

შეიძლებოდა თუ არა ყოფილიყო რაიმე ამაზე უფრო მოფიქრებულად საზიზღარი? მე ხომ ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ მონტანში!

(ამის შემდეგ ხსენებული ჟურნალი ჩვეულებრივ მიწოდებდა შემდეგს: „ტენი მონტანელი ქურდი.“)

შიშით ვათვალისწინებდი გაზეთებს — როგორც ასწევნ ხოლმე საბანს, რომლის ქვეშ მხამიან გველს მოელიან. ერთხელ ჩემმა თვალებმა დაინახეს შემდეგი:

„**სიცოცხლე დაგმოგვილია.** — ფაივ პოინტსელ ესკვიარ მაიკელ-ოფლანგანისა და უოტერ-სტრიტელ მისტერ კეტი მელიგენის ფიც-ქვეშ მოცემული წერილობითი მოწმობებით დადასტურებულია, რომ მისტერ მარკ ტენის მუხანათური მტკიცება, რომ ჩვენი კეთილშობილი მედროშის ბლენკ ჯ. ბლენკის ყველას მიერ დატირებული ბაბუა თითქოს ავაზაკობისათვის ჩამოახრჩეს შარავნაზე, არის უსირცხვილო ტყუილი, რომელსაც რაიმე საფუძველი არა აქვს. კეთილსინდისიერ ადამიანებს უმძიმთ იმის დანახვა, თუ რა სამარცხვინო საშუალებებს მიმართავენ ზოგიერთები პოლიტიკური წარმატებების მოპოვებისათვის. ასეთია, მაგალითად, თავდასხმა მიცვალებულებზე საფლავებში და ცილისწამებით მათი სახელის შებღალვა. როცა ჩვენ დაგიწყებთ ფიქრს იმ წამებაზე, რასაც ეს საზიზღარი ტყუილი მიაყენებს მიცვალებულის უდანაშაულო ქირსუფლებსა და მეგობრებს, ჩვენ თითქმის მზადა ვართ მოვუწოდოთ აღშფოთებულ და შეურაცხყოფილ ხალხს გადაჭრით და კანონის დაუკითხავად გაუსწორდეს ცილისწამებლებს. მაგრამ არა! დაე სინდისმა-სტანჯოს იგი (თუმცა თუ ენებათა ღელვა დასძლევს ხალხს და იგი, გაცეცხული, ფიზიკურად დაამახინჯებს ცილისწამებელს, ვერავითარი მსაჯულები, ეს ხომ თვალდინახულია, ვერ გაასამართლებენ და ამ საქმისათვის არავის დასჯის სასამართლო“).

ამ გონებამახვილ საბოლოო ფრაზას ის ეფექტი ჰქონდა, რომ იმავე ღამეს მე სასწრაფოდ გადავხტი საწოლიდან, და გავიბარე უკანა კარებში მაშინ, როდესაც „აღშფოთებული და შეურაცხყოფილი ხალხი მიმტვრევდა წინა კარებს, ამხნვრევდა ავეჯს და ფანჯრებს და „სამართლიანად აღშფოთებულს“ თან მიჰქონდა ის ნივთები, რომელთა ზიდვა შეიძლებოდა. და მე მაინც შემიძლია ხელი დავადო ბიბლიას და დავიფიცო, რომ არასოდეს დამიწამებია ცილი მისტერ ბლენკის ბაბუასათვის. ეს კიდევ ცოტაა: მე არასოდეს გამიგონია მისი სახელი და არც მომგონებია ამ დღემდე და საათამდე.

(აქვე შევნიშნავ, რომ ხსენებული ჟურნალი ამიერიდან მე მიწოდებდა: „ტენი მკვდრების შეურაცხყოფელი“).

შემდეგი საგაზეთო სტატია, რომელმაც მიიპყრო ჩემი ყურადღება იყო ასეთი:

„**საშვარამლი კანდიდატი.** — მისტერ მარკ ტენი, რომელსაც დამოუკიდებელთა მიტინგზე უნდა წარმოეთქვა ასეთი გამანადგურებელი სიტყვა, გუშინ აღარ გამოცხადდა. დეპუტა მისი ექიმისა იტყობინება, რომ იგი გადმოაგდო გაქანებულმა ეტლმა და მას ორადგილას გადატეხილი აქვს ფეხი — საწყალი ძალზე იტანჯება და ასე შემდეგ და სხვა ამის მსგავსი ბოღვა. დამოუკიდებელნი კი ყოველმხრივ ცდილობდნენ გადაეყლაპათ ეს უბადრუკი საბაბი და ისე ეჩვენებინათ თავი, თითქო მათ არ იციან ქვეშარატი მიზეზი ამ პიროვნების დაკარგვისა, რომელიც მათ გუშინ აირჩიეს თავიანთ მედროშედ. გუშინ საღამოს მისტერ ტენის სასტუმროში უგონოდ მთვრალი შეიტანეს ვიღაც მამაკაცი. დამოუკიდებლებს აწევთ ვარაუდვადი ვალი დაამტკიცონ, რომ ეს გამომთვრალი პიროვნება არ იყო მარკ ტენი. ბოლოს ჩვენ დავიჭირეთ ისინი. ახლა ვეღარ გავგიძვრებიათ. ხალხის ხმა მოითხოვს მქუხარედ: ვინ იყო ეს მამაკაცი?“



ფერის ბაგზე ბრ. ზარანდია: — შე კაი კაცო, ამ ბალახით რომ ცხენის გაცოცხლებას ფიქრობ, სიცოცხლეშივე გეთქვა, მშვიერს რალას მაკვლევინებდი?

ერთ წუთს სრულებით დაუჯერებლად მეჩვენებოდა, რომ ჩემი წახელი მიუახლოვდებოდა ასეთ საზიზღარ ეჭვს. სამი გრძელი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მე უკანასკნელად ვიგე მე ლუდი, ლვინო, ან სხვა რაიმე სპირტიანი სასმელი.

(როგორ მოქმედებს ჩვეულება, სჩანს იქიდანაც, რომ მე მეორე დღეს უკვე აუღელვებლად ამ გაზეთის შემდეგ ნომერში წავიკითხე ჩემი ახალი სახელწოდება — „მისტერ ტვენი — ბნელიანი,“ — თუმცა ვიცოდი, რომ გაზეთი ქვეყნის დასასრულამდე ამ სახელს დამიძახებს მე).

ამ დროისათვის ჩემს ფოსტაში უკვე დიდი როლი მიეკუთვნა უსახელო წერილებს. მათი ჩვეულებრივი ფორმა იყო შემდეგი:

„როგორ ცხოვრობს ის მოხუცი ქალი, რომელიც თქვენ ბინიდან გადაადგედ, როცა იგი სამათხოვროდ მოვიდა?“ **პოლ პრაი** ან:

„თქვენ აკეთებდით ისეთ საქმეებს, რომლებიც არაფერ არ იცის ჩემს გარდა. უკეთესია რამდენიმე დოლარი თავაზით მიეცით ქვემოთ ხელისმომწერს, თორემ გაზეთებიდან გაიგებთ ვინ არის.

**გენდი ენდი“.**

დაახლოებით ამგვარად. მე შემძლია დაუსრულებლად მოვიყვანო მაგალითები, თუ მკითხველს ნებას.

პატარა ხანს შემდეგ რესპუბლიკური პარტიის მთავარმა გაზეთმა მე „გამოკცა“ მასობრივი ქრთამებისათვის, ხოლო დემოკრატების ხელმძღვანელმა გაზეთმა „გამამათრახა“ შანტაჟის მძიმე შემთხვევისათვის.

(ამრიგად, მე მივიღე ორი დამატებითი მეტსახელი: „ტვენი ბინდური მექრთამე“ და „ტვენი საზიზღარი შანტაჟისტი“).

ამ დროისათვის ისეთი ღრიალი ატყდა ჩემზე წამოყენებული საშინელი ბრალდებებისათვის „პასუხის გაცემის“ გარშემო, რომ რედაქტორებმა და ჩემი პარტიის ლიდერებმა განაცხადეს: შემდგომში დღემდე იქნება ჩემი პოლიტიკური დაღუპვა... თითქოს იმისათვის, რომ მათი მოთხოვნა უფრო დაეინებითი ყოფილიყო, მეორე დღეს ერთერთ გაზეთში აი რა გამოქვეყნდა:


„**შეხედეთ ამ კაცს.** — დამოუკიდებელთა კანდიდატი კვლავ ზღმს, ვინაიდან იგი ვერ ბედავს ხმის ამოღებას. თითოეული

ბრალდება, წაყენებული მის მიმართ, სავსებით დამტკიცდა და ისინი კვლავ და კვლავ დადასტურებულია მისი მქვერმეტყველური ღუმლით“.

ამისაგან თავის დაღწევა უკვე აღარ შეიძლებოდა და მე, საშინლად დამცირებული, შევუდექი „პასუხის“ მომზადებას დაუსაბუთებელი ბრალდებების და ბოროტი, ვერაგული ქორის მასაზე. მაგრამ მე ეს საქმე ვერ მივიყვანე ბოლომდე, ვინაიდან დილით გაზეთი გამოვიდა ახალი საშინელებით, ახალი სისაძაგლით, სერიოზული ბრალდებით იმის შესახებ, რომ მე დაეწვი ქუაშეშლილთა თავშესაფარი ყველა მისი მცხოვრებლებით, ვინაიდან თითქოს ეს თავშესაფარი იდგა ჩემი სახლის წინ და ბუნების დანახვას მიშლიდა. ამან უკვე რალაც პანიკაში ჩამაგდო. შემდეგ გამოქვეყნდა ბრალდება იმის შესახებ, თითქოს მე მოვწამლე ჩემი ბიძა მისი ქონების დაპატრონების მიზნით. კატეგორიულად მოითხოვდნენ საფლავის გათხრას. ამან სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანა. ბოლოს ბრალი დამდეს იმაში, რომ როდესაც მე უპატრონო ჩვილი ბავშვების თავშესაფარის ზედამხედველად ვიყავი, ამ ბავშვების კერძებს ვამზადებინებდი ჩემს ნათესავებს — უკბილო და უციც მოხუცებს. მე მაინც ვმერყეობდი... ვმერყეობდი... და ბოლოს, უსარცხილო დევნის საბოლოო შტრიხის სახით, დევნის, რომელიც მე დამატყდა თავზე პარტიული მტრობის გამო, ერთ დღეს მიტინგის დროს, როცა ესტრადაზე ვიყავი, ამოცვიდნენ პატარა ახლად ფეხადგმული ბავშვები (რიცხვით ცხრა) კანის ყველა ფერისა და დანძობილობის ყოველი ხარისხის და მომეხვივნენ მუხლებზე ყვირით: „მამილო!“

ველარ გავუძელი. ჩამოვუშვი დროშა და დავნებდი. მე ვერ ვაკმაყოფილებდი ნიუ-იორკის შტატის საარჩევნო კამპანიის საგუბერნატორო მოთხოვნისაგან, გავგზავნე განცხადება ჩემი კანდიდატურის მოხსნის შესახებ და გაბრაზებულმა მოვაწერე: „პატივისცემით, თქვენი ოდესღაც პატიოსანი და კარგი აღამიანი, ახლა კი — მარკ ტვენი. — ს. ფ., მ. ქ., მ. შ., ბ., ბ. მ., ს. შ., (საზიზღარი თიკისგამტეხი, მონტანელი ჭურდი, მკედრების წიურა(ცხმყოფელი, ბნელიანი, ბოროტი მექრთამე, საზიზღარი შანტაჟისტი).

თარგმნა ალ. მალულარიამ



კარგ ხასიათზე გაეღვიძა კონდრაძის. ნაბახურევი თვალები ამოიფშვნიტა, ფანჯარაში გაიხედა, მაგრამ მხიარული სახე უცებ შეეცვალა, როდესაც ღრუბლიანი დღე დაიწინა.

ჩემი სირინოზიც დღეს მოწყენილი იქნება, არც მას უყვარს ღრუბლიანი დღე. ყვავილები წავიღო თუ არა, ა, წავიღო?—მსჯელობდა თავისთვის კონდრაძი—არა, წავიღებ.— გადასწყვიტა. პირი დაიბანა, სახის მასაჟი გაიკეთა, ჩაიცვა თეთრი ზოლებიანი შარვალი, ჭრელი ვალსტუქი გაიკეთა, უღვაშებზე საპრიალგებელი გადაისვა.—მზად ვარ.—სთქვა და ის იყო შოფერმა კონდრაძის ბინის ზარიც დარეკა.

— ტაქ... გატოვ... პაეხალ... — მეტი სიძუნწით უთხრა ცოლს ეს სიტყვები და ავტოში ჩაჯდა.


— საით? — შეეკითხა შოფერი.

— ჩვეულებრივ... — ამაყად უთხრა კონდრაძიმ. შოფერმა ავტო ხუთ წუთში მიაქროლა კონდრაძის საყვარელ სასაუზნეში.

— ქათმის კუჭმაჭი, კონიაკი, ლუდი! — აცანცანებულ ხმით დაიძახა სასაუზნეს გამგემ. თქმა ერთი იყო და კონდრაძის წინ გაიშალა სუფრა.

— დამიძახეთ შოფერს!

— ვისმენთ.



— შე ბრიყვო, განა, ყოველ დღე თქმა გინდა? წადი, სირინოზს... — უთხრა კონდრაძიმ შოფერს და ოშხივარიან კუჭმაქს მთელ მთელად ყლაპვა დაუწყო. შოფერი ადვილად მიუხედა კონდრაძის. 15 წუთში ისევ სასაუზნის წინ გაჩნდა. ავტოს საყვარი ერთხელ მოკრძალებით დააყვირა. კონდრაძიმ უღვაშებზე ხელი გადაისვა. ჩაახველა. მაშ წავედი. — სთქვა და გაბრწყინებული თვალებით ავტოში ჩაჯდა. სირინოზს მარცხენა ხელზე აკოცა და სამსახურისაკენ გაექანა.

\* \* \*

— უკვე თერთმეტი საათია და დირექტორი კიდევ არ მოსულა.

— ერთი კვირაა დავდივარ და ვერ ვნახე.

— სამი დღეა მოვცილი... — ისმოდა უკმაყოფილებანი დირექტორის კაბინეტთან. კაბინეტის მეკარე ალისტრახო შეჩვეული ამ მდგომარეობას, აბუხულ ინდოურივით იჯდა კაბინეტის კარებთან. დრო... უცებ გაიძა ავტოს ხმა და ალისტრახო უმაღლვე სარით დაესო კარებთან.

— მოდის... — აკანკალებული ხმით წამოიძახა.

კონდრაძიმ დინჯად ამოაბიჯა კიბეებზე, სირინოზი განგებ ჩამორჩა დირექტორს. ცოტა ხნის შემდეგ ისიც შევიდა კანცელარიაში და მანქანას მოუჯდა.

კონდრაძიმ კაბინეტის კარები მაგრად გაიხურა, ტელეფონები, მეკარის ზარი მოსინჯა და ჩაჯდა სავარძელში. მაგიდაზე საქმეთა მმართველის მიერ სამი დღის დაყრილი ქაღალდები, განცხადებები, გეგმები, უჯრაში ჩაჰყარა. დილის გახეთქებს თვალი გადაავლო.

— წკრრრ... გაისმა ზარის ხმა და დარაჯი ორჯერ ერთ მეტრზე შეხტა, თვალის დახამხამებაზე კარებში თავი შეჰყო.

— ალისტრახო, უთხარი საქმეთა მმართველს მომიყვანოს მემანქანე მანქანით.

ალისტრახომ თავი ისევ გარედ გამოჰყო, კარები მიხურა, თავისუფლად ამოისუნთქა და ჩიტვივით გაფრინდა საქმეთა მმართველთან.

მემანქანე სირინოზი უკვე დირექტორის კაბინეტშია.

— სალამოს კრება გვაქვს არა? მაშ, უნდა მოვემზადო მოხსენებისათვის. თუ ვინმე შელოდება, გაუცხადე, რომ დღეს ვერავის მივიღებ.

საქმეთა მმართველი კონდრაძის წინ თოკივით დაიგრიხა და გაუღიმა. შემდეგ ჩქარა, უსიტყვოდ, დირექტორის კაბინეტიდან გამოვიდა. დასწერა: განცხადება.

ვაჟნი დაკლადის გამოისობით დირექტორი პატივცემული კონდრაძი დღეს არა კაცს არ იღებს.

მთხოვნელებმა ბევრი იხოჩქოლეს, მაგრამ მეკარის აქტიური შეტევის შემდეგ დაიშალნენ.

\*  
— მაშ, ასე, სირინოზ! სურნელოვანია არა ეს ყვავილი? დღეს ღრუბლიანი დღეა, მაგრამ თქვენი სახე მწესავით მამხიარულებს. არაჩვეულებრივ ხასიათზე ვარ. პოემა უნდა მოგიძღვნათ.

— მადლობა!..

— აბა, მოემზადე. — უთხრა კონდრაძიმ და დაიწყო:

მზემ ყვავილებზე გადაასხურა  
მაშინ გარედ რომ ყეფავდა მურა...  
და სირინოზი, ოხ, სირინოზი!..

მემანქანემ შეაჩერა ბეჭდვა.

— განაგრძეთ!..

— კონდრაძე! პოემაში უხერხულია ჩემი სახელი.

— ყოველგვარი შენიშვნები პოემის ბოლოს. — დინჯად სთქვა კონდრაძიმ და ყურში წითელი ფანქარი გაიჩყო.

— განაგრძეთ ბეჭდვა.

იაგორას ყავდა ბიჭი, თმახუჭუჭა, ვიშერა, ვასხურებდი ყვავილებს სირინოზმაც მიშველდა სირინოზი, სირინოზი, და მამალის დეზები...

— მგონი კარვად გამოდის, არა?

— მე აღფრთოვანებით მომწონს, თქვენ შოთა წერეთელს აჯობებთ უსათუოდ.

— განაგრძეთ...

შვილი ყავდა გოგის მამა ჭამდა ლობიას...

პაეალუსტა მითხარი

რა ჯობია ლოლიალს?

სირინოზ, იცოდე,

გიყიდი როიალს...

— ცოტა გაკლიათ, არა?



— დიახ, ცოტა მაკლია, განაგრძეთ ბეჭდვა!..

კონდრაძეს უყვარს კუჭმაჭია, ჩემს სირინოზს კი „მაჩია“

მისმა მშვენიერ თვალებმა „სიმპატიას“ მიმაჩვია...

— ეს ბოლო სტრიქონები ყველას ჯობია უკვე ოთხი საათია. — უთხრა სირინოზმა და დამშეულმა სამჯერ გაიმეორა: „სიმპატია“.

— დიახ გასაგებია ეს სტრიქონები ასე დავამთავროთ, ჩემო სიცოცხლე, დანარჩენი იქ... — სთქვა კონდრაძიმ და „სიმპატიისკენ“ ხელი გაიშვირა.


— წკრ... — გაისმა ზარის ხმა.

— ალისტრახო! დაკვეთე კაბინეტის კარები მოხსენების წერას სალამოს განვაგრძნობთ. — სთქვა კონდრაძიმ და დამთავრდა „მუშაობა“.

\*  
მესამე დღეს კონდრაძი დაწესებულებაში არ გამოცხადებულა. წმები გავარდა, რომ კონდრაძი თითქოს სამსახურიდან მოეხსნათ. ზოგიერთ თანამშრომელს ეს არ სჯეროდა დაიჯერეს მხოლოდ მაშინ, — როდესაც კაბინეტის კარებზე დირექტორის სხვა გვარი დააწერა პარტორგმა.



მინაკისფერი უვიონაჟი



სიღმინეჟი გუჟინიფილი რა რიჟინი რუჟი





იაპონიაში უმალეს დამთავრებულენახ. დონისა ბი უმუშევრად არიან.



— ნ წელიწადია დანიშნული ხართ, რატომ არ თხოვდებით, საქმრომ ხომ არ ვილადატათ?

— არა, იცდის, სანამ სამსახურში მოეწუზობდეს.

— მაშ, ვერასოდეს ველარ გათხოვდები.

სოფ. ციხის-ჯვრის სამკითხველოს გამგემ სამკითხველოს წიგნები, რომელთა რიცხვი დაახლოებით ოცია, გადარიცხა თავვთა საკვებ ფონდში. დღეში ხუთი თავვი ჭამს ორ წიგნს. რამდენი წიგნია და თავვი სამკითხველოში და რამდენ დღეს ეყოფა წიგნები თავვებს?

\* \* \*

ძირულის აგურის ქარხნის მუშებს ფურნემ უნდა მიაწოდოს ყოველდღიურად 500 კილო პური. მაგრამ ფურნეში მომუშავე არგელაშვილი აქედან 100 კილო პურს აწვდის თავის ძმა-ბიჭებს. რამდენი ძმა-ბიჭი ჰყოლია მას, თუ თითოეულ მათგანს აძლევს ორნახევარ კილოს?

მალაროს-კარის (დუშეთის რაიონი) სასადილოში არის 4 სკამი, რომლებსაც აქვთ 8 ფეხი; მაგიდა არის ხუთი, რომლებსაც აქვთ 15 ფეხი, რამდენი ფეხი ჰქონია თითოეულ სკამს და რამდენი სკამი მოდის თითოეულ მაგიდაზე?

\*

ივლისში ბოროტმოქმედმა გაქურდა მოქ. ხითაროვის ბინა, წაიღო 6000 მანეთის ნივთები. მილიციის მეხუთე განყოფილებამ ქურდი დააპატიმრა, რომელსაც აღმოუჩინეს 400 მანეთის ღირებულების ნოხი, მილიციამ ქურდი გაუშვა. რამდენი მოკვება ხელდაქურდს?

მოზინადრე

გამიჯნუკუბუდი ღიკაქვოკი

ქიათურის რაიონში ქვაციხეა ერთი დაბა. ვინახულოთ მისი სკოლა და შევალთ შიგ დარაბა.

მაგრამ ფრთხილად. არაფერში შეუშალოთ გამგეს ხელი, სიყვარულის აღმურისგან კაცი არის გუი, ხელი.

ვნახე გამგე, წყლისა პირსა დენიშნა პაემანი, ლექსებს წერდა სიყვარულზე, დაეწერა პოემანი.

დაებარა იმ ადგილას სკოლის ერთი მას გოგონა, რომლის თვისთან მოსასვლელად ეს ოინი მოეგონა:

— მე აგისსნი გაკვეთილებს სადც ბუნება არის კარგი. თვით წიადი ბუნებისა, სიბრანის არის ერთი დარგა.

ლადო, სკოლის დირექტორსა (გვარიცა ვთქვათ — ჩუბინიძე) მოესურვა გამხდარიყო ერთხელ კიდევ საქმრო, სიძე.

როცა ხერხმა ველარ გასჭრა, ბრახით ბევრი იქაქანა, — და გოგონა „დამნაშავე“ დაითხოვა სკოლიდანა.

ამის შემდეგ სხვა მონახა, შესთავაზა მასაც გული, მაგრამ აქაც დაანდურეს ის კუდამოძუებული.

ეს მისი მიჯნურობანი — ნამდვილი, არაპორობა, რას არგებს სკოლას, რას არგებს ასეთი დირექტორია?

ქინჭარი.

ლანჩუთის სსსკუბრო

ოხ! რა უტკბესია ხანდახან ძილია, თუ გიჩანჩალია შორი მანძილია!..

\* \* \*

გუშინ გადმოვლახე მალალი მთებია, და ფეხით გავზომე ლანჩუთის გზებია!

სალამოს სასტუმროს ვეწვე დადლილი, (ოხ! ეხლა კარგია სითბო და თან ძილი!)

დამტვრულ კიბეზე ავედი წვალებით, თუმც ირგვლივ ვერაფერს ხრავდა თვალები!..

სასტუმროს გამგემაც მსწრაფლ გაჭკრა ასანთი მითხრა: ვადიხადე ქირა რუგ მანათი;

შემდეგ მოისვენე, თუმც ბნელა ძალიან,

კი არ შეგეშინდეს აქა ვარ ძამია!..

ხელების ფათურით მოვძებნე ადგილი, (თუმც მისი მონახვაც არ იყო ადვილი)

დავწექ და არ ვიცი მეძინა რამდენი, (გულს ვადამეფინა ია და ვარდები)

და... უტბათ წამოვხტი რა იყო?! რა მოხდა?! შიშით გავიყინე გულს კენესა ამოხდა!

ოთახში წვიმა სჩქევს ვთ ნიაღვარია, ჩალეწილ ფანჯრებში ქრის ცივი ქარია!..

ეხლა ვიღუბები იელვა თავშია, და გაშიშვლებული ვავვარდი კარშია!..

აქ გამგემ მიბძანა ისევ შეჩერება,

თან ტკბილი ღიმილით დამიწყოა ფერება:

— რა ვუყოთ, რომ წვიმა ჩამოდის ძამია, აწ გათენებადღე სულ ერთი წამია,

ამ ქოლგას დაგიტომბ დაგიცავს წვიმიდან, და შემდეგ შენს საქმეს ეწვეე დილითა!

— რას იზამ დათანხმდი — ამბობდა გონება, — გაჩერდი, დაიცხრე.. გულისა ღონება.

რა მექნა? — გაჩერდი გულანაკენესია და ვსცან რომ ლანჩუთში ამგვარი წესია:

თუ შეხვალ სასტუმროს, განდევნე მოწყენა. ყოველგვარ წამების შენ გმართებს მოთმენა.

თქვენც აღიპურვენით მკითხველნო მოთმენით,

ნახ. მ. ლებეშვილისა. გორას კოოპერატივის გამყიდველმა ქურდულად კოოპერატივიდან გაიტანა 3 ტომარა შაქარი.



— რა ტკბილი ენა აქვს ამ მამაცხონებულს?  
— რატომ არ ექნება ტკბილი ენა, რაც კოოპერატივში შაქარი იყო მაგან შეჭამა.

**კითხვა:** — კოოპერატივში ცუდად შერჩეულ ასორტიმენტის საქონელს ნახსნის გაუყიდველობის შემთხვევაში, ვინაა პასუხისმგებელი ჩვენ კოოპერატივში კი ამას არავინ აქცევს ყურადღებას. როგორ მოვიქცეთ?

**ნახახულების კოოპერატორები.**

**პასუხი:** — ასეთ შემთხვევაში უნდა გადაფასოთ უმოქმედო კოოპმუშაკები და თქვენი ბუხპალტერი.

**კითხვა:** — აჭარალმართის სოფსაბჭოს 10 სკოლიდან არც ერთი არ არის მზად ზამთრისათვის. არ აქვთ შეშა, ნავთი, ლუმელები. განათლების განყოფილების გამგეს პირდაღებული სძინავს, როგორ მოვიქცეთ?

**მოწაფეები**

**პასუხი:** — განათლების განყოფილების გამგის გასაღვიძებლად შეგვიძლია დავისახელოთ მრავალი საშუალება. მათ შორის შემდეგი: აიღეთ ორი ვედრო წყალი და დაასხით თავზე, ან მაგრად დაუზილეთ ყური თუ ამან არ უშველოს, მაშინ ამოცხეთ ნიშადური.

**კითხვა:** — ფინჩის საბჭოს მდივანს იშვიათად ნახავთ საბჭოში. თუ ნახეთ ხუთი წუთის საქმეზე ხუთ დღეს გალოდინებს. უყვარს ლანძღვა-გინება.

**საბჭოს წევრი**

**პასუხი:** — საბჭოს მდივანი რაკი ერთ ადგილზე ვერ სძლებს, საჭიროა მაგიდის ფეხზე შიბათ თოკით. ლანძღვა-გინება რომ მოიშალოს, ჩაუყარეთ პირში პილპილ მოყრილი შაქარი და პირი აუკარით ცხვირსახოცით, შეიძლება პირსახოცითაც.

**კითხვა:** — მახუნცეთის საექიმო პუნქტი ავადმყოფებს არ უწევს დახმარებას. რა საშუალებას მივმართოთ?

**ავადმყოფი**

**პასუხი:** — გირჩევთ ასეთ რეცეპტის გამოწერას პუნქტის გამგისათვის: — უმოქმედიუს 0,5, ზარმაციუს 0,12, გნაციუს 0,9 და პანდურიუს 0,1. დააღვივინეთ მხოლოდ ერთ დღეს წამლის მიღებისთანავე.

## ნიანგის ქრონიკა

### აბაშური კინემატოგრაფია

აბაშის კინო-ბაზამ „ფილმის“ ჩვენების მიზნით გუშინ დაიჭირა და დარბაზში თოკით დააბა სამი მოქალაქე. ნაჩვენები იქნა მე-19 საუკუნის, რომელიღაც 75 ნაწილიანი ფილმი, რომლის შინაარსი ვერც დაბმულებმა და ვერც თვითონ ბაზის თანამშრომლებმა ვერ გაიგეს კინო-ლენტის „მაღალხარისხიანობის“ გამო.

**აბაშელი ყაყუტა.**

### კინო-ხუმრობა

ლანჩხუთის კინო-ბაზის მშენებლებს შენობის საძირკველში ჩაპყვით საამშენებლო გეგმა. ოთხი წლის ფიჭვის შემდეგ, გუშინ გადასწყვიტეს შეაჩერონ უგეგმო მშენებლობა.

### „დამაკვალევი“

ოთხი წლის თავდაღებული შრომისა და ბრძოლის შემდეგ შარშანწინ დამთავრდა ზესტაფონის მომავალი თეატრის შენობის ერთი ნახევარკედლის ამოყვანა.

### გოდის მიზეზი

სოფ. არჩეულელ კოლმეურნეს (ლანჩხუთის რაიონი) კირილე ცეცხლადეს, რომელიც ყოველდღე ითვრება და დებოშს სტებს, ჯერჯერობით არავინ არც აპატიმრებს და არც აჯარიმებს, რადგან რაიონილიციის თანამშრომელი არ გაულახავს.

### ზევიურკარატი.

ლელვან-მარელისის (ორჯონიკიძის რაიონი საბჭოს მდივანმა თამარა შარიჭაძემ ამ უკანასკნელ კვარტალის განმავლობაში თავის კაბინეტში თავისივე უზენაესი ნებართვით მიიღო 2 1/2 მოქალაქე-ლელვანელი.

### იზვიათი უმითხვევა

ერთი თვეა რიონის საღვურის უფროსს უთამაშებს მარჯვენა თვალი, რაც იმაზე აუხდა, რომ გუშინწინ ქუთაის-რიონის მატარებელი № 145 ნიშანსვეტთან არ გაუჩერებია.

სიკი.



უდიდესი ენტუზიაზმით სწავლობენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებას საბჭოთა მოქალაქენი. დიას, სწავლობენ. ახალგაზრდები, მოხუცები ჩაბმულნი არიან წრეებში. სოფელ ჩინარულის კოლმეურნეებსაც დებულების შესწავლის დიდი ინტერესი აქვთ. ჩამოყალიბდა წრე.

— ბიჭებო, სრულიად დავგავიწყდა, რომ საჭიროა პროპაგანდისტი, — ერთი თვის შემდეგ ძლივს გაიხსენა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. ის ახტა, დახტა და ფ. ფანჯავიძისას ჩახტა:

— შენ, ძამია, დებულება იცი? პროპაგანდისტად გამოდგები?

— ჰმ! მერე და როგორი პროპაგანდისტი ვარ! — მიუგო თ. ფანჯავიძემ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ფანჯავიძე ახტნენ, და ჩინარულის კოლმეურნეობაში ჩახტნენ.

გაჩაღდა წრეში დებულების შესწავლა. უკაცრავად, უნდა გაჩაღებულიყო, მაგრამ... უცებ ფანჯავიძეს გაახსენდა, რომ მას დებულება წაკითხული არ ჰქონია. ბევრი იფიქრა და ბოლოს ასე გადასწყვიტა: ჯერ ჩავატარებ შეკითხვებს და იქნებ წრიდან ვინმემ სთქვასო.

— აბა ნიკო, რას იტყვი პირდაპირი არჩევნების შესახებ?

— ჯერ თქვენ აგვიხსენით, მასწავლებლო! — სთხოვეს პროპაგანდისტს.

— მაშ კარგი, პირდაპირი არჩევნების შესახებ მოგახსენებთ... დიას, და ფანჯავიძის ენა ჩაუვარდა. თავის თმის ვლოჯა დაიწყო.

— როგორც სჩანს დებულების არაფერი გაეგებათ. — წამოიძახა უკანა რიგის მჯდომარე მამენულმა.

ნიანგმა დამავალა ეს საკითხი სხვა სოფელშიც გამოემერკვია.

— არიქა, ნიანკორი მოდის, სასწრაფოდ შეატყობინეთ ბაღდიკ სააკიანს, რომ თავს უშველოს. — წამოიძახა ვილაყამ, როდესაც ძოლითის კოლმეურნეობაში შევედი.

— რატომ? რას ვერჩით სააკიანს? — ვკითხე იქაურებს.

— როგორ თუ რას ვერჩით? ვთხოვეთ მოეწყო საარჩევნო დებულების შესწავლის წრე. ახლა მოსავალს ვიღებ და არ მცალიაო, მოსავალი აიღო, მაგრამ დღესაც არ „სცალია“.

გორის რაიონის სოფელ დიკში ვადმოვფრინდი:

— გამარჯობათ!

— იცოცხლეთ, ვის ეძებთ?

— ბ. ლაბანიძეს და შ. ბადაშვილს.

— აჰა, მიგიხვდით. ალბათ იმიტომ ეძებთ, რომ ისინი საარჩევნო დებულებას არ სწავლობენ, წრეებზე არ დადიან. მაგრამ ისინი არაფერ შუაში არიან, წრის ხელმძღვანელად მე ვარ გამოყოფილი და თვენახევარია არაფერი გამიკეთებია.

— თქვენი გვარი?

— ლომაური ვახლავთ!

— ძალიან კარგი, — ვთქვი და ლომაურის ვინაობა ბლოკნოტში ჩავიწერე.

— რაშია ბატონო საქმე! რატომ ჩამწერეთ?

— ისე, ნიანგის დავალებით.

— ვაიმე, ნუ ჩამწერთ და ერთ ახალ ამბავს გეტყვით.

— ბრძანეთ!

— მე რას ვერჩით, მუსარეს მდგომარეობაა სოფ. არბოში, მეტეხთნევის [ხატარა] უზენაეს საბჭოს არჩევნების დებულების შესახებ მეცადინეობა დღემდე არ ჩატარებულა. აწი ხომ აღარ გამამხელთ?

— როგორ გეკადრებათ. — ვუბასუხე.

ლანჩხუთის რაიონში ვადაფრენას თავი გავანებე, რადგან იქაური რკინიგზელი ენახვარის სადგურის წინ ლილინებდა.

ბევრი ვიბაასეთ, ბოლოს შევეკითხე, თუ როგორ მიმდინარეობს ლანჩხუთის რაიონში უზენაეს საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა.

— მთელ რიგ სოფლებში ძალიან კარგად, ამხანაგო, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— არა, ჯერ მითხარით ეგ ჩანგალი რად გინდათ?

— ეს ჩემი იარაღია.

— აჰა, მიგიხვდით, რაკი ასეა უნდა გამოგიტყდეთ და გითხრათ, მეტი რა ჯანია. ლანჩხუთის რკინიგზის სადგურში მუშები წრეში ჩაბმულნი არ არიან.

— რატომ?

— ხელმძღვანელებს არ „სცალიათ“, ძამია, ჩვენს სასადილოში ამჟამად კარგი ღვინო ჩამოიტანეს. ასეთივე მდგომარეობაა ქვიანსა და ტყონავარში.

— ძალიან კარგი, მშვიდობით!.. — ვუთხარი ჩემს თანამოსაუბრეს და ზესტაფონის რაიონში ვადაფრინდი.

შოლტი

ახალ ფიკსიგზას ვაქაბდი

საქმის დასრულება... :პიცილინი... 2.0 პლიცამე... 2.1.0 პლიცანობ... ეოლომე იცმიცლუათ... 1.0 ძლიბლუ... ახალ ფირფიტებს ბეჭდბლო... მსურდა მეყიდა „სულიკო“, რომ დავმტკბარიყავ ჩონგურით. ტბილი სიმღერა თქმულიყო. უფრო კულტობილობისათვის... საქონლით რომ ვანთქმულიყო... ეს თქვი თუ აქ მაინც ვაქნება... სხვაგან რომ დაკარგულიყო... იქ დახვდა ჩემი მომხრე... გამგელ, ალვად რომ რაგულიყო... იფიქრებთ შეეპყრო, ფიქრებში გარინდულიყო... ამდგჯრემ ძნელმიალუ... ცოტა მივხდით სწრაფად მივხდით... რომ არსად დამალულიყო...

იხსენ იწვიტე... მიცენმატბილე: ძმობილო, თქვენ ხომ არა გაქვთ „სულიკო“? მან თავი მძიმედ ასწია და შემომხედა გვიანად. ვაქვს და არც გვექნება“... ვიკვებით ჩაიხშიანა. დავლოდი, დავჯავრიანდი, გულზე დამაჩნდა იარა, გზადვილატა წამომეწია და ფიქრი გამიზიარა: შენ რომ ფირფიტა მოგყიდოს, რად დაიყენოს თვალიო. სვეკულიანტებს რა მისცეს, ხომ ღარჩენ ხახამურალიო?!..

ქვას ჩაგვიყიით ჩაიშიო...

სახიროეთის (ხაშურის რაიონი) კოლმეურნეობის საწყობის გამგემ ქიტა თოდაძემ აგარის მტს სამი მანქანით შაქრის ქარხლის მაგივრად ქვა ზიდა საკუთარი საჭიროებისათვის.

ქიტამა სთქვა: აგარელებს არ გავყვები შაირშიო, მითხრეს, ქიტა მალლობასა თუ კიდევ არ დაიშლიო — ზამთარში შაქრის მაგივრად ქვას ჩაგვიყიით ჩაიშიო.

უსაფუძვლო რავა

— უსულო სავანს შეუძლია სწავლა? — როგორ არა, დაგიმტკიცებთ! — სისულელეა. — მაშ, აბა სოფ. კაცხის კოლმეურნეობის გამგეობის წევრებს რა ჰქონდათ მხედველობაში, რომ წითელ კუთხეში ლობიოს მოსავალი დააბინავეს?

ბეჟან კოლხი

შალონი



ქართული  
ლიბრარიონი

იროლიონი ნადარაია ერთდამავე დროს პედაგოგიურ მოღვაწე-  
ობასაც ეწეოდა და კიდევ ხელმწიფობდა.  
ეს პერიოდი იროლიონის ყვინჩილობის ჰასაკს ეკუთვნის. სწო-  
ბედ მაშინ ებიბინებოდა ვაჟკაცობის უღვაწეობა, როცა აღბუღალის  
ანათლების კარიბჭეზე საღერღელაშლილი პატეფონივით ახრიალ-  
და ყელსალამურა იროლიონისა:

„სადაც ჭერი მაღალი,  
მეც მისი ვარ მაყარო“.

არც სტყუოდა მისმა მზემა. აბა სად ხობისა და სად აღბუღალის  
აიონის განათლების განყოფილების ჭერის სიმაღლე. იროლიონი  
არც ისე უვიცი ვინმეა, არ იცოდეს თუ სად ბუღობენ ზამთრობით  
ბუღობები...

პედაგოგიური ასპარეზიც იროლიონსა სწორედ აქედან დაიწყო.  
იროლიონის ნეტარმოსილი დღენი სიხარულით თენდებოდა და ლა-  
ბათიანი „ხიდისთავი“ ულით“ ღამდებოდა“ შაგრენის ტყავი და ძვირ-  
ფასეულობა, ფული და შანსები შემოდგომის ფოთოლივით ცვივოდა  
იროლიონის სკივრში. ასე მან რამოდენიმე ზამთარ-ზაფხული გაა-  
ტარა, მაგრამ ბოლო დროს, მილიციის ორგანოებმა ნაჭურღალ ცხენ-  
ზე მჯდომი იროლიონი მაგრად ჩაბლუჯა, „მებრძოლი“ უშიშარი  
მაწვილი უცებ ჩვრად იქცა. ამაყი და თავმომწონე მოღობა. გაფითრ-  
და და გული წებოზე დაკრულ ბუზივით აუფართქალდა...

ერთი ცხენი და 10 ათასი მანეთი - აი რა ჩაიწერა აუგად ხსენე-  
ბულ პედაგოგის დაპატიმრების ქმანში.

ტელეფონის მავთულებს და ეთერის ტალღას ყოველმხრივ მოჭ-  
რუნდა აღბუღალ-მანგლისის რაიონის მასწავლებელთა დაქინებული  
მოთხოვნები: „ჩვენს შემრცხვენს, ჩვენვე გავასამართლებთ“.

საქმე გაირჩა. საბჭოთა სამართალმა მას თავისი მიუზლო მალე  
შორეულ ეტაპსაც გაჰყვა იროლიონის კვერცხის გულისფერი კრაკები,  
კოვერკოტის კოსტუმი და მუქი ლურჯი ფერის ცილინდრი. მაგრამ  
როგორღაც მან ფრთა მალე გაშალა და მარშრუტი ხობის განგანის  
სამართალით აიღო. ერთგულების და ჭარბ სიყვარულის დასამტკიცე-  
ლად ცის ტატნობზე რამოდენიმეჯერ ირაო გააკეთა, თითქოს თავს  
წააცვალესო. მერე ეს ღაღუა ფრთოსანი, გამანათლებელი სახლის  
ქონგურზე ჩამოჯდა გალობით:

ინდი მინდი, ფერად შინდი  
ისევ შენსკენ გადმოვფრინდი,  
კვლავ გიხილო, გულით მინდი,  
გაგინათო გზა და ხიდი.

— ვინა ხარ? რა სულიერი, საყვარელივით რომ გამიჯნურებულ-  
ხარ ხობზე. — შეეხმინა შეგნიდან ხობის განყ. გამგე ვანო თო-  
ფურია.

— განათლებული კაცი ვარ. გვარად იროლიონი. არა, სახელად  
იროლიონი, გვარად ნადარაია.

— რაზე მოსულხარ?

— თქვენთან მოვედი, კარი გამიღე.

— რა მოგაქვს?

— განათლება; დიდძალი კულტურა და თქვენი რაიონის აყვა-  
ვება.

— მაშ, გამარჯობა, კეთილი იყოს შენი აქ მოსვლა!

— შენთან მიჯობს დავლიო ცხოვრების დღენი, — უთხრა ირო-  
ლიონმა.

— „კურთხეულიყავ“ ისტორიისა და გეოგრაფიის „უჩიტლად“...  
ვინიცობაა თუ კი დაარღვევდე აღთქმასა შენსა და შენს მოამავის  
წინააღმდეგ აღიმაღლებდე ხმასა, მაშინ ფსალმუნის ასმერვეთი დაწ-  
ყველილიყავ, ვით გიორგი გაბურძგენილმა შეაჩვენა მე-12 საუკუნეში  
ვარდანიძე ჰემხვარის შთამავალი.

— ხო, ხო!.. მტრისას. — გაუელვა გულში იროლიონს.

\* \* \*

— კვლავ წიგნები, სკოლა, ბავშვები, პედაგოგიკა და იროლი-  
ონი. ერთი სასწავლო წელი დაახროო მან სოფ. ზენის არასრულ  
საშუალო სკოლაში.

წელს კი სოფელ საჯიჯაოს არასრულ საშუალო სკოლას ეწვია...  
იცნობს ამ „უმანკო ბატკანს“ ხობის რაიონის საზოგადოება?

— ჰაი, ჰაი, რომ იცნობენ, მაგრამ ის მაინც განაგრძობს პედა-  
გოგობას.

ყოველივე ეს „ყოვლის შემძლე“ განგანის გამგემ ვანო თოფუ-  
რიაშაც კარგად იცის, მაგრამ რატომღაც არ სწამს და არ სჯერს ამ  
საქმის სინამდვილე.

ფ. ლურჯული.

## რევიზორი საბა

თუ ზოგი საქმე, ერთობ ბატარა,  
როგორ აყვება დავიდარაბას,  
მაზედ ვეტყვით ერთ სადა ამბავს  
და თან გაგაცნობთ რევიზორ საბას.  
საბას ამ ჩვენი, პოემის საგანს,  
ლოტა ხნით უნდა შეავლოთ თვალი:  
ცხვირზე სათვალე, ხელში ფანქარი  
და ანგარიში მის წინ მრავალი:  
გოდვა, გაყიდვა, ბინების ქირა,  
ზაქსი, აბორტი და მივლინება...  
(საბამან ჰქექოს საქმენი სხვისი,  
თურმე განგებამ ასე ინება).  
— ეს ანგარიში. — ჰო, ცხენის ქირა...  
რიცხვიც დაუსვამს... ესეც სწორია:  
ფეხით მგზავრობაც არ ეწყობოდა —  
ორმოცი ვერსი — ერთობ შორია...  
ცხენი ვისია? დათა ხრიკულის...  
სოფლის სახელი. — ჩირიანთ-კარი.  
აქტივ თან ახლავს ამ ხელწერილსა,  
აქტივ ხელს აწერს თვით კომისარი...  
ხალგაობის გეგმა, სადაც უვლია  
და მისვლის პუნქტი. — ჰო, ხიდისთავი.  
— დასწყევლოს ღმერთმა ყველაფერი:  
დღეს გამოვიდვარ მე ვირისთავი. —  
შვეე ხმამალა წარმოსთქვა საბამ

და მუშტი მალა ასწია ბრაზით:  
უნდა რაიმე ხომ გამოეჩხრიკო  
როს რევიზორის ვმუშაობ ხაზით...  
იმავე ანგარიშს ჩაუჯდა საბა  
და კიდევ კარგი არ მოიჯაყა:  
— არ მიიღება ეს სამგლე ცხენი,  
რა სქესის იყო: ჰაკი თუ ვაყა.  
ამ ანგარიშის წარმომდგენ პირსა  
უნდა მოეცა ცნობები სწორი.  
— მასზედ ჩასთვალეთ მანეთი ორი. —  
წითელი ფანქრით სწერს რევიზორი.  
— მომეციო ნება და საშვალება  
ამ ანგარიშის გამოსწორების,  
შეცდომას თითონ მოვიზინებ,  
ოღონდ არ გავხდე მსხვერპლი ჭორების.  
იძახის გულში მოსამსახურე  
და წასასვლელად კვლავ ეზადება.  
ხუმრობა საქმე ხომ არ გგონიათ,  
რომ ანგარიში მას უბრუნდება...

უკვე ეტლში ზის მოსამსახურე,  
ირვლივ თვალს ავლებს მინდვრებს და ველებს,  
დაქანცულ ცხენებს, ეტლში შებმულებს,  
ოთნივე ულაყს, ოფლი ასველებს...  
ხელახლა მისვლა ჩირიანთ-კარში.

ისევე წერა და ლაპარაკი...  
და კომისიამ დაადასტურა,  
რომ ცხენის სქესი ყოფილა ჰაკი.  
აღნიშნეს ისიც, რომ ეტლით მოსვლა  
ოთხი თუმანი დაჯდა ხალასი,  
რომ დაიქანცა ოთხი ულაყი  
და ეტლშიც ეგო ფარჩის ფალასი...  
დაადასტურეს, ეტლით მგზავრობა  
რომ სამმართველოს დაუჯდა ფასი  
(ჯანი გავარდეს რაღაც ოთხ თუმანს:  
ეტლში ცხენები ება ძვირფასი).  
— აი, ეს მესმის, ეს ანგარიში,  
ენლა შეკეთდა და არის სწორი.  
ხომ სახელმწიფო ბევრს წააგებდა,  
მე რომ არ ვიყო აქ რევიზორი?  
იძახის საბა და უხაროა,  
რომ ის არ არის მუქთამუქამელი,  
მე კი ვიტყვოდი, რევიზორობა,  
საჭირო არის და თანაც ძნელი,  
რომ საბააც შესცდა არ მოითხოვა  
და არ აღნიშნა თავის დავთარში  
იმ ჰაკი ცხენსა თუ ჰაკი ვეცი,  
ან როგორ გასძლი წარსულ ზამთარში.

სიმონ-ალა.

# დიდბარძის ქორწინება

(ტეზილი)

ჯვარისელ გედეონს „უჩიტლად“ უხმობენ ცხვირს ქვემოთ მიდამოს უღვაწნი უმკობენ,— არს დიდი ნაკითხი და კომკავშირელი, (ატარებს პორტფელს, აცვია შინელი).

იფიქრა დასკვნა: ცოლია საჭირო, შეჰყარა: სიპიტო, სიკო და საჩინო. ჯერ კიდევ ვარსკვლავი ცას იყო ვაკრული გაუდგნენ გზასა და დასძახეს მაყრულო.

სიდერმა ამბავი მეზობლებს ახარა სიძემ კი სირცხვილით თავი ძირს დახარა. მღეროდა გედეონ. სულამბოხებული, სიღამოს დაბრუნდა მაყართა კრებულით.



შატარძალს პირში რომ შეჰარო ჩაუდგეს ფეხებქვეშ კი, მოზრდილი საინი დაუდგეს. შექამა შეჰარო, კისკისა ატეხა, დაარტყა საინს და თორმეტად გატეხა.

ცოლქმარი ატარეს კერიის გარშემო, ლოცავდნენ: აცოცხლე, ღმერთო და გამზენო. მუნ იწყეს ქეიფი, ყანწები ვაცალეს, ახსენეს ღმერთი და ზერდანკა დაცალეს.



დაიწყო მილოცვა, ნიეთები მიართვეს, დედოფლის გართობა გედეონს მიანდგეს, შეგროვდა: ჩითები, ჩანგლები, დანები, ფულები, ქიქები, წაღები, სკამები. წამოდგნენ დაბოლოს საკმაოდ მთვრალები სიძეკაცს გაუღეს ბეღელის კარები. დაზარდე გედეონ — მიაპყრეს თვალები შვიდამდე ვაჟი და შემდეგ კი ქალები. და დღესაც გედეონს „უჩიტლად“ უწყვიან უღვაწი ვით წინად, ცხვირს ქვემოთ უწყვიან. არ ჯავრობს და არ ზრდის მას ცრემლის ღვარი, შეინდე ყმა შენი, წმინდაო მარიამ, — სწამს ღმერთი, ხატი და თან წმინდა ელია, და თან შეთავსებით კომკავშირელი.

თუწელი.

არის შიგ და წარმოდგენებიც უკანასკნელი უფრო იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დასწან კონცერტმა შემთხვევით ჩამოიარა ჩვენსკენ. საკუთარი დასი დიდი ხანია უკანა თუმცაღა ძალები ქე არიან ბოლომდე ვაკრულით, მე და აღმასხანა კაი სცენის მოყვარულები ვართ. მე ტრადიკი ვახლავარ, ხოლო აღმასხანა კი — კომიკი. მარა ჩვენზე უფრო ჩვენი თეატრია ტრადიკ-კომიკურ მდგომარეობაში. წვიმიან დღეში თუ მოხვდით, თეატრში უფრო წვიმს, ვიდრე გარეთ. ზამთარში კი ფოთის საყინულეს მიუქარავს მასთან.

— ვერ მითხარით, ყმაწვილებო, კარგი ამბავი. ელსადგურის საქმე მაინც როგორ გაქვთ? —

— არა უშავს, ერთი ნაკლი რომ არ ქონდეს, სინათლუზება ცოტა მწყვროლად: თუ ლამფას წაახმარ, ქე დინახავ რამეს.

— ქალაქის მშენებლობაზე რას იტყვიან?

— შიგ ბაზარში, ძვირად ნახავთ წინაღულ მინგრულ-მონგრულ დუქნებს. მათ ადვილზე ახლა აგურის ორსართულიანი შენობებია წამოჭიმული მარა რად გინდა? ნახვარს ჯერ არც კარ-ფანჯარა და ჰერ-იატაკა არა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ის შენობები თუ არ ვცდები, 3-4 წლის წინათ დგაწყეს.

— რატომ აქამდის არ დაამთავრეს?

— მავნებლების ბრალია ამხანავო, მათ ვაშინსახკომმა საჭირო რეცებტები გამოუწერა.

— ქობულეთი — გავაფრთხილა კონდუქტორმა და ყმაწვილებიც ბაქანზე ჩამოხტნენ.

კალმონი

## მ ა გ ა რ ე ბ ე ლ შ ი

ელბავალი დიდის სისწრაფით მიგვაქროლებდა ბათუმისაკენ... შატარბელი სავე იყო შეზავრებით... სამტრედიაში ჩვენი ვაგონი საკმაოდ დაცარიელდა... შატარბელი როცა დაიძრა, ორი ახალი შეზავრი შემოგვემატა. ქშენით შემოვიდნენ და თან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდნენ... ერთმა მათგანმა დიდის ვაივაგლახით, არაჩვეულებრივი სიდიდის ჩემოდანი თაროზე მოათავსა და ძირს ჩამოწვლის დროს მაზოლიან ფეხზე ფეხი დაჰმადგა.

— თო, თო! — წამოვიკენესე და ფეხზე ხელი ვიტაცე.

საქმე ბოდიშით დაშთავრდა და ახლად შემოსულები გვერდით მომისხდნენ.

— რა გვარი ბრძანდებით, ყმაწვილებო? — შევეკითხე მათ.

— წკიპურტაშვილები ვანლავართ...

— ძმები ხომ არა ხართ?

— არა ბატონო, ბიძაშვილები ვართ. შე ალფესი შქვია, ამას კი — აღმასხანი.

— მე კი იონა გრენილაძე. ქ. წულუკაშვილს, მაგრამ 15 წელიწადია, რაც იქედან ვარ წამოსული. მამაჩემი ბესარიონი კაიხანია რაც ვარდიცვალა.

— სასიამოვნოა. — დინჯად თქვა აღმასხანმა.

— რაა ბიჭო, სასიამოვნო? ამ პატიოსან კაცს მამა რომ გარდაეცვალა? — იონუნჯა ალფესიმ.

— არა კაცო, ვაცნობა სასიამოვნო-მეთქი.

— რა ამბავია თქვენში? — შევეკითხე მათ. — ამბობენ, ისე გაკეთდა ქალაქ წულუკიძე ვერ იცნობო, — მართალია?

— დიახ, მეგობარო! მართლაც ვერ იცნობთ, ძალიანი გამეიცვალა ამ რამდენიმე წელიწადში...

— ჩემს დროს, მახსოვს, სახალხო სახლში შენება დაიწყეს... ნეტა რა მდგომარეობაშია? — შევეკითხე აღმასხანს.

— ისევ იმ მდგომარეობაში ვახლავთ, როგორც დატოვეთ... დეიწყეს კი, მარა დათავებით ვერ დათავეს. ორი ეკლესია მოანდომეს მარტო ცოკოლის ამოშენებას, ისეთი ვებერთელა რამ არის. ახლა რომ ნახოთ, იმხელა ხეებია ამოსული ცოკოლის შუა, რომ საღორიის ტყე გვეგონებათ.

— ეს კი არ ამომწონს... მაშ როგორც სჩანს, უთეატროდ დარჩენილხართ.

— არა, თეატრის შენობა გვაქვს, კინოც

## გვაგდაჯს ნვაიკს და თმასო



მოგესხნებათ ნიანგო, ჩვენი სადგური სვირია. წვერის საპარსვე ოთახში ბევრჯერ აგვაჭრეს ცხვირით. დალაქი ჯალათივითა გვაგლეჯს წვერებს და თმასო, დანა ისე აქვს ნალესა ქათამს ვერ მოჭრის თავსაო. თუ საქმის გამოსწორება იქნების ვინმემ ინება, მაშინ გიყვარდეს დალაქიმ ჩვეული ლანძღვა-გინება. და ნიანგკორმა რაკი დღეს ეს სადლაქოც მიავნო, შეტი გზა რა დაგვრჩენია? უნდა გვიშველო, ნიანგო! უცხვირო.

საქ. მთელი რივი რ. გზის სადგურები არ არიან მზად ზამთრისთვის.

## საღ. ველი

ჩემი სახელი ველია და ვიმყოფები ველადა, ესა ვარ, რაც რომ ვიყავი ვასულსა წელსა ძველად. შენობა ჩემი ინგრევა ფანჯრებს არა აქვს მინები თოვლი მოვა და ზამთარში სიცივით გავიყინები.

## საღ. იანეთი

აქ რომ ლამუა დუზიანდა დამდეგ იყო მკათათვისა, შემდეგ მგზავრებს არ უნახავთ შუქი კვარის, არც ნავთისა. ზნელაშია მუხიანი, კობიტარსაც ეს დღე ადგას, რა იქნება უფროსებმა აქ რომ თითო ლამუა დადგან?

## საღ. თელავი

სადგურ თელავს ვინ ასენებს? აქაც ღამე იცის ბნელი, ეს უფროსებს მოახსენეს თქვეს: — არ არის საქმე ძნელი. ზოგჯერ მგზავრი ზიანდება, იკარგება ხშირად ბარგი, კარგია თუ ამის შემდეგ თვალს გაახელს წვეის დარგი. ძნელ-ოღლი

## სურამელის პატაკი ნიანს

აბანო გვაქვს სურამელს ზედ დაგრჩება, ძმაო, თვალის: ზაფხულობით არ მუშაობს, დანარჩენ დროს არ აქვს წყალი.

ჩვენი ფოსტა სამკითხველს გაეფიცა თურმე ძმადა: გაზეთები, საკითხავი სანატრულად გავვიხადა.

შალ-კოვი

# უ რ ი ა

ირაკლის მამა გარდაიცვალა. დამწუხრებული დილას სამსახურში დირექტორთან შევიდა: — შემთხვევით მამა გარდამეცვალა. გთხოვთ ორი დღით გამანთავისუფლოთ — სთხოვა დირექტორს. დირექტორმა სათვალეები გაისწორა, გაზეთი მაგიდაზე დააგდო და უთხრა: — ჯერ ერთი, შემთხვევით არაფერი ხდება, იცოდეთ კიდევ თუ გარდავცვალა მამა, აღარ გაგანთავისუფლებ, თუ მის შესახებ წინასწარ არ გამაფრთხილებ.

უზანადას. (ოზურგეთი) მოგვყავს ადგილი თქვენი ლექსიდან.

„იმიზა ღერღვეს ხეფეს წისქვილი, რომ დოლაბია მოუკოდავი...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნავი რითმები: „წისქვილი“ და „მოუკოდავი“. ნიანგ ახეთი აზრისაა თქვენი მგონობის შესახებ: კალმის მაგივრად, რომ წერაქვა აეღო ხელში და სეფესთვის წისქვილის ქვა მოეკოდა უფრო უმჯობესი იქნებოდა.

ატაკუბას. (ღანი-ქვიტირი) ჩვენ არ გვესმის თუ რატომ უწოდებთ თქვენს „ნაკვესებს“ სხვის იუმორს? მოგვყავს თქვენი ერთი „ნაკვესთაგანი“ რომელიც გონებამახვილობის „შედევრს“ წარმოადგენს:

„ერთხელ ნაფუგოდონოსორი ქუჩაში გადადიოდა, რომ სწორედ ამ დროს. იქვე მდგომმა მილიციელმა შუშტუკი დაუსტვინა და უთხრა:

— მოქალაქე! აქ გადასვლა არ შეიძლებაო.

— აქ თუ არ შეიძლება, მაშ სად უნდა გადავიდეს კაციო — ჩაუნისკარტა ნაფუგოდონოსორმა.

მილიციელი სახტად დარჩა“.

ვის ატყუილებთ იუმორი სხვისიაო, სხვისი კი არა თქვენია ნაკუთრივ და თქვენვე შეინახეთ.

ბუსუბის. (აქვე) თქვენი დრამატული პოემა ასე ბოლოვდება:

„ბლესანოვის კლუბი მუდამ ხულოვებით არის სავსე, გამგე არის დაუშვლი ვაჰ, ნიანგოჯან რას ჰგავს ეს?!“.

ნიანგმა ვერ გაიგო რისი გამგეა დაუშვლი, კლუბის თუ ხულოვების? დაწვრილებით შეიტყუეთ და მოგვწერეთ, შეძლება შეთავსებით იყოს.

პატამ-ნაცარას. (ლეჩხუმი) პირველი კარი თქვენი კინო-პოემის ასე იწყება:

„არ ვარ პოეტი, არც მგოსანი და არც მწერალი მე ისე ბულღატერი ვარ ლექსებსაც ქე ვწერ, ეგ კი არა და ბალანს როცხა ვარგდენ ნიანგო, ვილაც ძილში ჩამწურჩულებს ლექსი სწერეო...“

ვინ არის ის მოცილილი რომ ასეთ სისულელეს ჩაგზურჩულებს?

## იცნობდით თორთლაქს

ამხანაგო ნიანგო! მინდა გავაცნო მარო თორთლაქს. ქუთაისში ის ცნობილია პატეფონის ფირფიტების გაიმასქნებაში. თორთლაქს რაიკულტმალის გამყიდველია. მართლაც რომ რაიკულტმალის გამყიდველია და არა საქონლის. მას მომხმარებლები ორ კატეგორიად ყავს დაყოფილი. ერთი — მომხმარებლები პირდაპირი, ე. ი. მობრძანდით შალაში და ჩვეულებრივ აარჩიეთ საქონელი (თუ კი ასეთი დარჩა, მეორე კი (თორთლაქსის გამოთქმით, რომ ვსთქვით) მომხმარებელი გვერდებიდან. ესე იგი თუ რაიმე კარგი საქონელი მოვიდა თორთლაქს აძლევს ზუმაღ.

უხარია თორთლაქსს, რომ ქუთაისში მან გაამრავლა პატეფონის ფირფიტებით გადაყიდველები. ისიც კი უხარია, რომ რაც მეტია გადაყიდველი, მას მეტი შემოსავალი აქვს.

გადაყიდველს ხელს გვიწყობს გამყიდველი მარია.

## ფირფიტების ვაჭრობით გული გავვიხარია.

ასე მღეროან თორთლაქსის მიერ დაგეშილა გადაყიდველები. ამხანაგო ნიანგო! თორთლაქსის მიმართ დასვენა თქვენთვის მოგვიდანი.

## გიზოვით საკვილო ნიანგო!

ამხ. ნიანგო! პროფესიით მკვლევარი ვარ. მართალია ჯერ არაფერი გამომიკვლევია, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ვიფიქრე, მოდი ჭიათურის მადანის საბაღოებს შევი-სწავლი მეტქა. ჩავედი ჭიათურაში და რგანის საპაერო საბაგორო გზის მუშათა საერთო საცხოვრებელში შევედი.

— აღმოვაჩინე, აღმოვაჩინე. აი, მადანი, ნამდვილი მარგანეცია. ვთქვი და საერთო საცხოვრებლის იატაკზე ბლომად დაყრილი მარგანეცი დავათვალიერე.

— ხა, ხა, ხა — გადაიხარხარა საერთო საცხოვრებლის დამლაგებელმა.

— რაშია საქმე?

— შენ მამაცხოვრებლო, ეს მადანი კი არ არის მარგანეცის მტვერია. ერთი წელიწადია ეს ბინა არავის გამოუყვია. — მიიხრა მან.

მერე კი მიუხვდი საქმე რაშიც იყო. მოდი და ახლა ასეთ ხალხს ნუ წამოაგებ შენს ბასრ ჩანგალზე. გიშოვე საკვილო, ნიანგო, ესეც ხომ აღმოჩენაა?!..

ინჟინერ-მკვლევარი

მ ზ ა დ ე ჯ ა

„ნიანგის“

ს ა მ ე ტ ი ა ლ უ რ ი ნ ო მ რ მ ბ ი

ს ა მ კ უ რ ა ნ ლ ო

ს ა ტ რ ა ნ ს კ ო რ ტ ო

ს ა თ ე ა ტ ო რ - ს ე ლ ო ვ ნ ე ბ ის

1




1. ჩვენი მინა მიძინარაჲე თოფითა და სკამით  
ბოზოყვათის „უნივერსიტეტს“ უდარაჯგებს ლამით.

2




2. ძილმა ვაჟკაცს როგორ მძლიობ, — ფიქრობს გულში მინა,  
და ამ ფიქრებში გართულმა ამოუშვა სვრინვა.

3.




3. უცებ ლანდმა ელვასავით სიბნელე გადასჭრა,  
მალაზის „ალსაწერად“ ყაფაზეზე გაჩნდა.

4.




4. ჩვენი მინა მამაცურად მყისვე კარებს ეცა,  
ქურდი მეტი შიშისაგან იქვე ჩაიკეცა.

5.



5. გათოკა ავაზაკი და წინ გაიგდო მინამ,  
მიიყვანა საღაც ჯერ არს რიხით წარადგინა:

6.




6. მამაცი მინა შეაქებს, ჯილდოც მისცეს ღიდი,  
ლენინგრადის პატეფონი ნემსით და ფირფიტით.

7.



7. და პატეფონმა, როდესაც ააქიკიკა სულიკო,  
მინამ თვალეზი სჭყიტა და... მზე უკვე ამოსულიყო.

8



8. ყველაფერი რიგზე იყო, ბეწვიც კი არ აკლდა,  
მხოლოდ არ იყო დუქანი, თოფიც არსად გახლდათ.